

## ცალმხრივი ჰუმანიტარული ინტერვენცია: აგრესიის დანაშაული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის მიხედვით?

რევაზ ტყემალაძე

„ისტორია ცხადყოფს, რომ ომები იწყება, როდესაც მთავრობებს  
სჯერათ, რომ აგრესიისათვის საზღაური დაბალია.“<sup>1</sup>

### აბსტრაქტი

ნაშრომი მიმოიხილავს თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ჰუმანიტარული ინტერვენციის ინტერვენციის კანონიერების განვითარების საკითხს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ აგრესიის დანაშაულზე იურისდიქციის ამოქმედებასა და მათ ურთიერთაკვშირს. ნაშრომის მთავარ შეკითხვას წარმოადგენს - ნებისმიერი ჰუმანიტარული ინტერვენცია დაგეგმილი, მომზადებული და განხორციელებული სახელმწიფო ლიდერების მიერ წარმოადგენს თუ არა აგრესიას რომის სტატუტის მიხედვით? კერძოდ, რა ტიპის ძალის გამოყენებაა აკრძალული და კანონიერი? მიუხედავად იურისდიქციასთან დაკავშირებული არსებული შეზღუდვებისა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ადრე თუ გვიან მოუწევს დააბუსტოს მე-8 *bis* მუხლის ფარგლები. საბოლოოდ, ნაშრომი შეეცდება პასუხის გაცემას კითხვას, თუ პოტენციურად რა გავლენას მოახდენს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინაზე და შესაბამისად, ზოგადად *jus ad bellum* სამართალზე.

**საკვანძო სიტყვები:** აგრესიის დანაშაული; რომის სტატუტი; ჰუმანიტარული ინტერვენცია; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო; *Jus ad bellum*; ძალის გამოყენება

### შესავალი

2017 წლის 15 დეკემბერს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტის<sup>2</sup> (შემდეგში „რომის სტატუტი“) წევრ მხარეთა ასამბლეამ მე-16 სესიაზე მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, რომლის შედეგად 2018 წლის 17 ივლისიდან აგრესიის დანაშაულზე სისხლის სამართლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია ამოქმედდა.<sup>3</sup> მისი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, აგრესიის დანაშაულის კრიმინალიზაციას მეცნიერთა მხრიდან ორაზროვანი შეფასებები მოჰყვა. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ აგრესიის დანაშაული გამოყენებული იქნება პოტენციური აგრესორების შესაჩერებლად, ხოლო ნაწილი თვლის, რომ მას

<sup>1</sup> რონალდ რეიგანი, აშშ-ის მე-40 პრეზიდენტი.

<sup>2</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება („რომის სტატუტი“), 2187 UNTS 3 (ხელმოსაწერად გაიხსნა 1998 წლის 17 ივლისს, ძალაში შევიდა 2002 წლის 1 ივლისს).

<sup>3</sup> Resolution ICC-ASP/16/Res.5, 14 დეკემბერი 2017, [https://asp.iccpi.int/iccdocs/asp\\_docs/Resolutions/ASP16/ICC-ASP-16-Res5-ENG.pdf](https://asp.iccpi.int/iccdocs/asp_docs/Resolutions/ASP16/ICC-ASP-16-Res5-ENG.pdf) [ნანახია 27.12.2019].

შეიძლება ჰქონდეს „მსუსხავი ეფექტი“ ისეთ სამხედრო ინტერვენციებთან მიმართებით, რომლებიც ლეგიტიმურ მიზანს ემსახურება.<sup>4</sup>

გამომდინარე იქიდან, რომ საერთაშორისო სასამართლოების იურისდიქცია ძირითადად სახელმწიფოთა თანხმობაზეა დამოკიდებული, დღეისათვის ბევრი სასამართლო პროცესი არ ყოფილა, სადაც დადგინდა, რომ სახელმწიფოებმა დაარღვიეს *jus ad bellum*. თუმცა სახელმწიფოებისათვის შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს სხვა ფაქტორები, როგორცაა სანქციების დაკისრების რისკი, სხვა სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობები თუ მათი რეპუტაცია საერთაშორისო საზოგადოების თვალში. შესაძლოა, მათთვის ლიდერების ინდივიდუალური (და არა სახელმწიფო) პასუხისმგებლობის შიში უფრო დამაბრკოლებელი ფაქტორი აღმოჩნდეს.<sup>5</sup> ნიურნბერგის პროკურორის, მოსამართლე რობერტ ჯექსონის სიტყვებით, საერთაშორისო სამართლის ნორმების უფრო აქტიური აღსრულებით, ომი ნაკლებ მიმზიდველი გახდება მათთვის, ვინც განაგებს მთავრობებისა და ადამიანების ბედს.<sup>6</sup>

რომის სტატუტში არსებული დეფინიციიდან გამომდინარე, ცალსახად არ იკვეთება, თუ რა კავშირია აგრესიის დანაშაულსა და ცალმხრივ ჰუმანიტარულ ინტერვენციას<sup>7</sup> შორის. ექცევა თუ არა სახელმწიფოს ლიდერების მიერ დაგეგმილი, მომზადებული, დაწყებული და განხორციელებული ჰუმანიტარული ინტერვენცია მე-8bis მუხლის ფარგლებში? იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო ინტერვენცია ემსახურება გაეროს წესდების მიზნებს, მაგრამ ამავდროულად არ ექცევა დასაშვები ძალის გამოყენების ფარგლებში, უნდა დაკვალიფიცირდეს იგი აგრესიად? უშიშროების საბჭოს VII თავის საფუძველზე ავტორიზებული ჰუმანიტარული ინტერვენცია უდავოდ არ წარმოადგენს აგრესიას, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით არავტორიზებული ინტერვენციების შესახებ, რაც ამ ნაშრომის განხილვის საგანს წარმოადგენს. ამგვარი ინტერვენციის ყველაზე გავრცელებულ მაგალითებს შორისაა ინტერვენცია კოსოვოში, რომელიც დამოუკიდებელი საერთაშორისო

<sup>4</sup> Tom Ruys, “Criminalizing Aggression: How the Future of the Law on the Use of Force Rests in the Hands of the ICC”, *The European Journal of International Law* 29 (2018): 889; Michael Reisman., “Reflections on the Judicialization of the Crime of Aggression”, *Yale Journal of International Law* 39 (2014): 73; Leslie Esbrook., “Exempting Humanitarian Intervention from the ICC’s Definition of the Crime of Aggression: Ten Procedural Options for 2017”, *Virginia Journal of International Law* 53 (2015): 802.

<sup>5</sup> Yoram Dinstein, *War, Aggression and Self-Defence* (Cambridge: Cambridge University Press, 2017), 132.

<sup>6</sup> Robert Jackson, “Report to the President on the Atrocities and War Crimes”, United States Department of State Bulletin, (Government Printing Office) (1945).

<sup>7</sup> Vaughan Lowe and Antonios Tzanakopoulos, *Humanitarian Intervention*, Max Planck Encyclopaedia of International Law, para. 8. ცალმხრივი ჰუმანიტარული ინტერვენცია იმით განსხვავდება „კოლექტიური ჰუმანიტარული ინტერვენციისაგან“, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს ძალის გამოყენებას უშიშროების საბჭოს მიერ VII თავის საფუძველზე ავტორიზების დროს. ცალმხრივი ჰუმანიტარული ინტერვენცია, თუნდაც ის განხორციელებული იყოს სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ, მაინც განიხ.ბა ცალმხრივად, ვინაიდან იგი ხორციელდება უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე. შესაბამისად, ამ კონტექსტში ტერმინი „ცალმხრივი“ არ არის „მრავალმხრივის“ ანტონიმი. ინტერვენცია არ არის კოლექტიური, ვინაიდან ის არ ექცევა გაეროს წესდების მიერ შექმნილი პროცედურის ფარგლებში.

კომისიის მიერ შეფასდა როგორც „უკანონო, მაგრამ ლეგიტიმური.“<sup>8</sup> XX საუკუნის შუა პერიოდიდან მოყოლებული განვითარდა შეხედულება, რომელიც მხარს უჭერს, საჭიროების ფარგლებში, შეზღუდული ძალის გამოყენებას გენოციდისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შესაჩერებლად.<sup>9</sup> რუანდის მაგალითი, როდესაც საერთაშორისო საზოგადოება აღმოჩნდა სრულიად უუნარო მძიმე ვითარების დროს, ხშირად გამოიყენება ჰუმანიტარული ინტერვენციის პოლიტიკის გასაგვითარებლად.

გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა რუანდის შემდეგ დათქვეს, რომ ასეთი რამ აღარასოდეს უნდა განმეორებულიყო და 2005 წელს გენერალური ასამბლეის მსოფლიო სამიტის რეზოლუციით სახელმწიფოებმა პირობა დადეს, რომ ისინი დაიცავდნენ მშვიდობიან მოსახელობას გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულებისა და ომის დანაშაულებისაგან.<sup>10</sup> თუმცა საერთაშორისო საზოგადოებამ და განსაკუთრებით უშიშროების საბჭომ, რომელსაც ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, ბოლო ათწლეულის განმავლობაში ვერ შეძლო სამოქალაქოების დაცვა, როდესაც სირიაში დაიღუპა ნახევარი მილიონი ადამიანი, იემენში მიმდინარე კონფლიქტის შედეგად 20 მილიონი ადამიანი აღმოჩნდა ჰუმანიტარული დახმარების მოლოდინში, ხოლო 2017 წელს ეთნიკური წმენდის კამპანიის შედეგად მიანმარიდან 600 000 ადამიანი გაიძევნა ბანგლადეშში.<sup>11</sup>

იმ შემთხვევაში, როდესაც უშიშროების საბჭოს არ ეძლევა მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების შესაძლებლობა მუდმივ წევრებს შორის შეუთანხმებლობის გამო, ერთ-ერთ ალტერნატივას წარმოადგენს ძალის ცალმხრივი გამოყენება სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ, რაც ლეგიტიმურია მასობრივი ადამიანის უფლებათა დარღვევების აღმოფხვრისათვის. 2014 წელს არაერთმა სახელმწიფომ დაუჭირა მხარი ძალის გამოყენებას სირიაში ასადის რეჟიმის მიერ განხორციელებული მძიმე ადამიანის უფლებების დარღვევათა შესაჩერებლად. მათ შორისაა გაერთიანებული სამეფო, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, დანია, თურქეთი.<sup>12</sup> თუმცა სადავოდ რჩება, განვითარდა თუ არა არსებული სახელმწიფოთა პრაქტიკა და *opinio juris* საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის ჩამოყალიბებისათვის. საკმარისია თუ არა ჩვეულებითი სამართლის ცვლილება ძალის გამოყენების იმპერატიული აკრძალვის გამონაკლისის გასაჩენად? ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ჰუმანიტარული ინტერვენცია არაა კანონიერი, წარმოადგენს თუ არა იგი გაეროს წესდების „აშკარა“ დარღვევას?

<sup>8</sup> Independent International Commission on Kosovo, The Kosovo Report (2000), 4.

<sup>9</sup> Sean D. Murphy, Humanitarian Intervention: The United Nations in an Evolving World Order (Pennsylvania: University of Pennsylvania Press, 1996), 366; Ryan Goodman, “Humanitarian Intervention and Pretexts for War”, American Journal of International Law 10 (2006): 107-112.

<sup>10</sup> UNGA Res 60/1 (16 September 2005) UN Doc A/RES/60/1.

<sup>11</sup> Rebecca Barber, “Uniting for Peace Not Aggression: Responding to Chemical Weapons in Syria Without Breaking the Law”, Journal of Conflict & Security Law 24 (2018): 72.

<sup>12</sup> Leslie Esbrook, “Exempting Humanitarian Intervention from the ICC’s Definition of the Crime of Aggression: Ten Procedural Options for 2017”, Virginia Journal of International Law 53 (2015): 802.

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, ნაშრომში გაანალიზებული რომის სტატუტში აგრესიის დანაშაულის ცნება. შემდეგ თავში განხილული იქნება ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის გამოყენების თანამედროვე მაგალითები პრაქტიკიდან და შეფასდება მისი კანონიერების საკითხი. ნაშრომის ძირითად თავში კი გაანალიზებულია აგრესიის დანაშაულის თითოეული ელემენტი კამპალას შესწორებების მოსამზადებელი სამუშაოების, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკისა და მეცნიერთა შეფასებების საფუძველზე. ნაშრომში გამიჯნულია, თუ სად გადის ზღვარი რეალურ, *bona fide* ჰუმანიტარულ ინტერვენციასა და ისეთ ძალის გამოყენებას შორის, რომელიც გადაიზრდება სხვა სახელმწიფოს ოკუპაციასა და ანექსიაში. დაბოლოს, მიუხედავად იურისდიქციის განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევებისა, მოცემულია სამართლებრივი შეფასება, თუ რამდენად შესაძლებელია რუსეთის მიერ განხორციელებული ინტერვენცია უკრაინასა და საქართველოში დაკვალიფიცირდეს აგრესიის დანაშაულად რომის სტატუტის მიხედვით.

### 1. კამპალას შესწორებების მიღების პროცესი და აგრესიის დანაშაულის ინტერპრეტაცია

კამპალას კონფერენციაზე იყო განწყობა, რომ საერთაშორისო საზოგადოება ერთი ნაბიჯით დაუახლოვდებოდა პროგრესს, უდანაშაულობის აღმოფხვრას, მომავალი თაობების დაცვას ომის სისასტიკისგან. მაშინ როდესაც რომის სტატუტის წევრ მხარეთა ასამბლეის წევრების მიერ გამოითქვა ურთიერთსაპირისპირო ექსტრემალური პოზიციები და კონსენსუსის შესაძლებლობა არსად ჩანდა, სცენა დაიკავა ბენჯამინ ფერენჩმა, რომელმაც ნაციისტი ლიდერები გაასამართლა აგრესიისთვის ნიურნბერგში. მან მიმართა სახელმწიფოს მეთაურებსა და დიპლომატებს, რომ აგრესიის დანაშაულის კრიმინალიზაცია დაასრულებდა დაუსჯელობას მათთვის, ვინც იყენებენ აგრესიულ ძალს. მან აღნიშნა, რომ „კაცობრიობის სინდისისთვის“ აუცილებელია არსებობდეს სასამართლო, რომელიც გაასამართლებს ამ უზენაეს საერთაშორისო დანაშაულს. მან დელეგატებს მოუწოდა, რომ ეს განსხვავებები და სკეპტიციზმი გამოეყენებინათ, რომ მეტი ემუშავათ და არ დაეშვათ „მკვლელობის ლიცენზიის“ ასე დატოვება.<sup>13</sup>

2010 წლის 4 ივნისს კამპალას კონფერენციაზე აშშ-ის დელეგატმა დააფიქსირა უკმაყოფილება მე-8 *bis* მუხლში მოცემულ აგრესიის საწყის დეფინიციასთან დაკავშირებით. მისი მოსაზრებით, ორ ძირითად რისკს წარმოადგენდა კანონიერი ძალის გამოყენების კრიმინალიზაციის საშიშროება და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლიდან გადახვევა. დელეგატის აზრით, საჭირო იყო არა უშუალოდ მე-8 *bis* მუხლის ტექსტის ცვლილება, არამედ მისი დაზუსტება განმარტებების გზით და მართლაც 2010

<sup>13</sup> Excerpts of the speech delivered by Ben Ferencz during the plenary session on 8 June 2010, during the Rome Statute Review Conference in Kampala, reproduced from Marieke de Hoon, "The Crime of Aggression's Show Trial Catch-22", *The European Journal of International Law* 29 (2018): 932.



წლის 7 ივნისს აშშ-ს დელეგატმა წარადგინა განმარტებების ვრცელი ტექსტი.<sup>14</sup>

კამპალას შესწორებების მე-3 დანართი შეიცავს შვიდ „განმარტებას“, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება სამართლებრივი ინტერპრეტაციისათვის. 1-5 განმარტებები ფარავს პროცედურულ და იურისდიქციულ საკითხებს. მე-4 და მე-5 განმარტებები აზუსტებს, რომ კამპალას შესწორებებში მოცემული აგრესიის აქტისა და დანაშაულის დეფინიცია არის მხოლოდ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიზნებისათვის და „არანაირად არ ზღუდავს ან ზიანს აყენებს არსებულ და განვითარების პროცესში მყოფ საერთაშორისო სამართლის ნორმებს“. მე-6 და მე-7 განმარტებები კი შეეხება უშუალოდ დანაშაულის დეფინიციას.<sup>15</sup>

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქციის განხორციელებასთან დაკავშირებით შეექმნება მნიშვნელოვანი პრობლემები, რადგან გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც უშიშროების საბჭოს რეფერალით იწყება დანაშაულის გამოძიება, იურისდიქცია ვრცელდება, მხოლოდ იმ სახელმწიფოთა მოქალაქეებზე, რომელთაც რატიფიცირებული აქვთ კამპალას შესწორებები. აქვე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ოპერაციაში 1999 წელს (ბელგია და ესპანეთი) და 2003 წელს ერაყში აშშ-ის მეთაურობით განხორციელებულ ინტერვენციაში (ესპანეთი, პოლონეთი, ჰოლანდია) რატიფიცირებული აქვთ კამპალას შესწორებები.<sup>16</sup>

რომის სტატუტის მე-8*bis* მუხლი სამი ნაწილისგან შედგება. პირველი განმარტავს აგრესიის დანაშაულის ცნებას, მეორე - „აგრესიის აქტს“, ხოლო მესამე - განსაზღვრავს აგრესიის დანაშაულის სხვადასხვა მოდალობებს და ავიწროებს დანაშაულის სუბიექტების სიას. სტატუტის 21(1)(ა)-ე და მე-9 მუხლების შესაბამისად, სასამართლო ინტერპრეტაციისას ასევე იხელმძღვანელებს დანაშაულის ელემენტებით და შესაბამისი განმარტებებით, სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 31-ე (2)(ა) და 32-ე მუხლებიდან გამომდინარე.

აგრესიის დანაშაულის დეფინიციის მე-6 და მე-7 განმარტებების ტექსტში ვკითხულობთ:

*(6) აგრესია წარმოადგენს უკანონო ძალის გამოყენების ყველაზე სერიოზულ და საშიშ ფორმას; აგრესიის აქტის ჩადენის დასადგენად საჭიროა თითოეული საქმის ყველა გარემოების, მათ შორის, ქმედებათა სიმძიმისა და შედეგების შეფასება, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად;*

*(7) იმისათვის რომ დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა აგრესიის აქტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების აშკარა*

<sup>14</sup> Claus Kreß et al., “Negotiating the Understandings on the Crime of Aggression”, in *The Travaux Préparatoires of the Crime of Aggression*, eds. Stephen Barriga and Clauss Kreß (Cambridge: Cambridge University Press, 2012), 92.

<sup>15</sup> Understandings regarding the amendments to the Rome Statute of the International Criminal Court on the Crime of Aggression, Annex III of Resolution RC/Res.6, კონსენსუსით მიღებული მე-13 პლენარულ სხდომაზე, 2010 წლის 11 ივნისს.

<sup>16</sup> Tom Ruys, “Criminalizing Aggression: How the Future of the Law on the Use of Force Rests in the Hands of the ICC”, *European Journal of International Law* 29 (2018): 891.

*დარღვევას, ხასიათის სიმძიმისა და მასშტაბის სამი კომპონენტი უნდა იყოს საკმარისი „აშკარა“ დარღვევის დასადგენად. არცერთი კომპონენტი ცალკე აღებული არ შესაძლოა იყოს საკმარისად მნიშვნელობანი, რომ დამოუკიდებლად დააკმაყოფილოს აშკარა დარღვევის სტანდარტი.*

აგრესიის დანაშაულის დეფინიციაში მოცემული ეპითეტი „აშკარა“ ორმაგ ფუნქციას ასრულებს. ერთი მხრივ, „ხასიათის“ ანუ ხარისხობრივი კრიტერიუმით იგი გამორიცხავს ძალის გამოყენებს ისეთ შემთხვევებს, რომლებიც ექცევა კანონიერების ნაცრისფერ არეალში; ხოლო რაოდენობრივი ანუ „მასშტაბისა“ და „სიმძიმის“ კრიტერიუმების ჩამატებით იგულისხმება, რომ ძალის გამოყენებამ უნდა მიაღწიოს გარკვეულ ინტენსივობას.<sup>17</sup> სიმძიმის მინიმალური ზღვრის შემოტანა ემსახურება მხოლოდ ისეთი უკანონო ძალის გამოყენების კრიმინალიზაციას, რომლებიც თავისი არსით ისეთივე მძიმეა, როგორც გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ თუ ომის დანაშაულების ჩადენა ფართო მასშტაბზე ან კონკრეტული პოლიტიკის შესაბამისად. ამგვარად სასამართლო ასევე თავიდან აირიდებს ძალის გამოყენების სადავო მაგალითებზე მსჯელობას, მაგრამ ამასთანავე აგრესიის დანაშაული მოიცავს ძალის გამოყენების ცალსახად უკანონო მაგალითებს, რომელთა მიზანიც არაფერია სხვა თუ არა ოკუპაცია და ანექსია.

მაღალი სიმძიმის ზღვრის დაწესებით, აგრესიის დანაშაული შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო ჩვეულებით სამართალთან. ნიურნბერგისა და ტოკიოს ტრიბუნალების წესდებებში სახელმწიფო ქმედების ელემენტი ომზე მითითებით დგინდებოდა და სავარაუდოდ, საერთაშორისო ჩვეულებითი სისხლის სამართალი ამ პრეცედენტების შემდეგ დიდად არ შეცვლილა.<sup>18</sup> მოლაპარაკების პროცესში ზოგიერთი დელეგაცია მიიჩნევდა, რომ სიმძიმის ზღვრის დადგენა საერთოდ არ იყო საჭირო, თუმცა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არაერთხელ გააუღერა შეხედულება, რომ „მხოლოდ აგრესიული ომის წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობის წინააღმდეგ დანაშაულს“.<sup>19</sup> გაერთიანებული სამეფო იზიარებდა ამ პოზიციას:

*„თუ ჩვენ მივიღებთ ამ ან მის მსგავს შემოთავაზებას, ჩვენ სასამართლოს იურისდიქციას დავუქვემდებარებთ ინდივიდუალურ მონაწილეობას სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენების ნებისმიერ უკანონო შემთხვევაში. მაგრამ საერთაშორისო სამართალში არაფერი მეტყველებს, რომ მონაწილეობა ამგვარ ძალის გამოყენებაში ინდივიდის მიერ წარმოადგენს აგრესიის დანაშაულს. აგრესიის აქტმა, რომელიც არ არის აგრესიული ომის ნაწილი (დეკლარირებული თუ არადეკლარირებული), შესაძლოა გამოიწვიოს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. მაგრამ ჩემი დელეგაცია ჯერ კიდევ არაა დარწმუნებული, რომ ეს შესაძლოა*

<sup>17</sup> Carrie McDougall, *The Crime of Aggression under The Rome Statute of The International Criminal Court* (Cambridge: Cambridge University Press, 2013): 127-28.

<sup>18</sup> Robert Cryer et al., *An Introduction to International Criminal Law and Procedure* (Cambridge: Cambridge University Press, 2014): 320.

<sup>19</sup> Claus Kreß, „The State Conduct Element“ in *The Crime of Aggression: A Commentary*, eds. Claus Kreß and Stephen Barriga (Cambridge: Cambridge University Press, 2017), 515.

*იყოს დანაშაული ინდივიდისათვის საერთაშორისო სამართლის მიხედვით.*<sup>20</sup>

მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე განასხვავებენ ძალის გამოყენების გრადაციას სიმძიმის სამი საფეხურის მიხედვით: 1) სიმძიმის ყველაზე დაბალ ზღვარს აწესებს გაეროს წესდების მე-2(4) მუხლი; (2) შუალედურ დონეზე არის შეიარაღებული თავდასხმა და აგრესიის აქტი გაეროს წესდების 51-ე და 39-ე მუხლების მიხედვით; (3) სიმძიმის მაღალ დონეს მოითხოვს აგრესიის განმარტება სახელმწიფო პასუხისმგებლობის შესახებ საერთაშორისო ჩვეულებით სამართალში. ამგვარი მოდელის ფარგლებში, აგრესიის აქტის ცნება რომის სტატუტის მე-8bis მუხლის მიზნებისათვის განიხილება შუალედურ დონეზე და მე-6 განმარტებასთან ერთობლიობაში ინტერპრეტაციით უტოლდება გაეროს წესდების 51-ე მუხლში მოცემული შეიარაღებული თავდასხმის ცნებას, ხოლო *დასრულებული* სახელმწიფოქმედების ელემენტი აგრესიის დანაშაულისათვის (სიმძიმის ზღვრის გათვალისწინებით) მოექცევა მე-3 დონეზე.<sup>21</sup> მეცნიერები არ გამორიცხავენ იმგვარ სცენარს, როდესაც შეიძლება სასამართლომ დაადგინოს აგრესიის აქტის არსებობა მე-8bis მუხლის მიზნებისათვის, ხოლო უშიშროების საბჭომ არ დაადგინოს აგრესიის აქტი წესდების 39-ე მუხლის მიზნებისათვის, თუმცა აღნიშნული პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან მე-8bis მუხლის მე-2 პარაგრაფის მიხედვით, სასამართლოს მიერ აგრესიის აქტის დადგენა ხდება მხოლოდ სტატუტის მე-8bis მუხლის მიზნებისათვის,<sup>22</sup> ხოლო უშიშროების საბჭოს მიერ აგრესიის აქტის დადგენა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა.<sup>23</sup>

სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური დამოუკიდებლობა არ ზღუდავს ძალის გამოყენების ფარგლებს. 3314-ე რეზოლუცია, ისევე როგორც გაეროს წესდების მე-2 მუხლი, შეიცავს დებულებას „სხვაგვარად შეუთანხმებელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებთან“, რაც ხაზს უსვამს ძალის გამოყენების აკრძალვის ზოგად ხასიათს.<sup>24</sup> გარდა ამისა, 3314-ე რეზოლუციაში და რომის სტატუტის მე-8bis მუხლში დამატებით ჩამატებულია „სუვერენიტეტი“, რაც გამორიცხავს ძალის გამოყენების კანონიერებას თუნდაც სავარაუდო კეთილი მოტივებით.<sup>25</sup>

<sup>20</sup> Ibid. 516: გაერთიანებული სამეფოს დელეგატის ელიზაბეტ ვილმშურსტის განცხადება 2000 წლის 12 ივნისს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამზადებელ კომისიაში.

<sup>21</sup> Dapo Akande and Antonios Tzanakopoulos, 'The International Court of Justice and the Concept of Aggression', in *The Crime of Aggression: A Commentary*, eds. Kreß and Barriga (Cambridge: Cambridge University Press, 2017) 515.

<sup>22</sup> Claus Kreß, "The State Conduct Element" in *The Crime of Aggression: A Commentary*, eds. Claus Kreß and Stephen Barriga (Cambridge: Cambridge University Press, 2017), 428.

<sup>23</sup> ქეთევან ხუციშვილი, „გაეროს უშიშროების საბჭოსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს კონკურენტული და კომპლემენტარული კომპეტენციები“ (2010), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 124.

<sup>24</sup> Oliver Dörr and Albercht Randelzhofer A., 'Purposes and Principles, Article 2 (4)' in *The Charter of the United Nations: A Commentary*, Volume, ed. Bruno Simma et al. (Oxford: Oxford University Press, 2012): paras. 37, 39.

<sup>25</sup> Claus Kreß, "The State Conduct Element" in *The Crime of Aggression: A Commentary*, eds. Claus Kreß and Stephen Barriga (Cambridge: Cambridge University Press, 2017), 431.

რაც შეეხება მე-8 *bis* მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილი ქმედებების სიას, ის ამომწურავი არაა.<sup>26</sup> „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, აგრესიის აქტს ასევე წარმოადგენს ნებისმიერი სამხედრო ოკუპაცია, რაოდენ დროებითიც არ უნდა იყოს იგი, რომელიც არის შეტევისა და თავდასხმის შედეგი. 3314-ე რეზოლუციის მოლაპარაკების პროცესშიც განხილებოდა სამხედრო ოკუპაციის აგრესიის აქტად კვალიფიცირების საკითხი.<sup>27</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ *შეიარაღებული მოქმედებების* საქმეში დაადგინა, რომ უგანდის რესპუბლიკამ დაარღვია ძალის გამოყენების აკრძალვის პრინციპი კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში იტურის ოკუპაციის გამო.<sup>28</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ ძალის გამოყენებით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ანექსია სამართლებრივად არაფერს არ ცვლის ალტერნატიულ „სამხედრო ოკუპაციასთან“ მიმართებით, რადგან არსებული საერთაშორისო სამართლის მიხედვით უცხოური ტერიტორიის ანექსია დაუშვებელია და არ შეცვლის ტერიტორიის სამართლებრივ სტატუსს და თუ ოკუპანტი პრეტენზიას განაცხადებს სახელმწიფოს ანექსიაზე, სამართლებრივად გაგრძელდება სამხედრო ოკუპაციის სიტუაცია.<sup>29</sup>

## **2. ჰუმანიტარული ინტერვენციის მახასიათებელი პრაქტიკიდან: საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ახალი ნორმის კრისტალიზაცია?**

ნიკარაგუას საქმეში სასამართლომ განაცხადა, რომ „სახელმწიფოების მიერ ახალი უფლების ან ამ პრინციპების უპრეცედენტო გამონაკლისის გამოყენებამ, თუ ეს გაზიარებული იქნება სხვა სახელმწიფოების მიერაც, შესაძლოა გამოიწვიოს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მოდიფიკაცია“.<sup>30</sup> ამ წინადადების საფუძველზე, მეცნიერები მიიჩნევენ, რომ სასამართლო არ გამოირიცხავს ძალის გამოყენების აკრძალვის ახალი გამონაკლისის შექმნას.<sup>31</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩნდება შეკითხვა: შეიცვალა თუ არა სახელმწიფოთა პრაქტიკა იმგვარად, რომ მომხდარიყო საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ახალი ნორმის კრისტალიზაცია?

<sup>26</sup> Roger S. Clark, “Amendments to the Rome Statute of the International Criminal Court Considered at the first Review Conference on the Court, Kampala, 31 May–11 June 2010”, *Goettingen Journal of International Law* 2 (2010): 696.

<sup>27</sup> Claus Kreß, “The State Conduct Element” in *The Crime of Aggression: A Commentary*, eds. Claus Kreß and Stephen Barriga (Cambridge: Cambridge University Press, 2017), 440.

<sup>28</sup> ICJ, *Armed Activities Case*, para. 345; ასევე, სასამართლომ განმარტა ჰააგის რეგულაციების 41-ე მუხლი და დაადგინა 173-ე აბზაცში: „იმისთვის, რომ დადგინდეს წარმოადგენს თუ არა სახელმწიფო, რომლის შეიარაღებული ძალებიც განთავსებული არიან სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე ინტერვენციის შედეგად, ‘ოკუპანტ ძალას’, როგორც ეს ტერმინი გაგებულია *ius in bello*-ში, სასამართლომ უნდა შეაფასოს არის თუ არა საკმარისი მტკიცებულება, რომ ინტერვენციის განმახორციელებელმა სახელმწიფომ ნამდვილად დაამყარა და ახორციელებს ძალაუფლებას შესაბამის ტერიტორიაზე. აღნიშნულ საქმეში, სასამართლომ უნდა შეაფასოს, რომ უგანდის შეიარაღებული ძალები არამხოლოდ განლაგებულნი იყვნენ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, არამედ მათ ჩაანაცვლეს კონგოს მთავრობა საკუთარი ადმინისტრაციით.“

<sup>29</sup> Rainer Hofmann, ‘Annexation’, in *The Max Planck Encyclopaedia of Public International Law*, vol. I, ed. Rudiger Wolfrum, (Oxford: Oxford University Press, 2012), 411.

<sup>30</sup> ICJ, *Nicaragua Case*, 207-ე აბზაცი.

<sup>31</sup> Michael Scharf, “Striking a Grotian Moment: How the Syria Airstrikes Changed International Law Relating to Humanitarian Interventions”, *Chicago Journal of International Law* 19 (2019), 594.



ჰუმანიტარული ინტერვენციის მაგალითებს შორის განიხილავენ ინდოეთის ინტერვენციას ბანგლადეშში 1977 წელს, ვიეტნამის ინტერვენციას კამბოჯაში 1978 წელს, ტანზანიის ინტერვენციას უგანდაში 1979 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენცია გრენადაში 1983 წელს. იმისათვის, რომ ჩამოყალიბდეს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ახალი ნორმა, მაშინ სახელმწიფოებმა თავად უნდა განაცხადონ, რომ ძალის გამოყენების ესა თუ ის მაგალითი გამართლებულია ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინით, რადგან როგორც მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ აღნიშნა ნიკარაგუას საქმეში, არავინაა უფლებამოსილი, რომ სახელმწიფოებს მიანიჭოს ის სამართლებრივი პოზიცია, რასაც ისინი თავად არ ავითარებენ.<sup>32</sup> ინდოეთის ინტერვენცია აღმოსავლეთ პაკისტანში, ტანზანიის ინტერვენცია უგანდაში და ვიეტნამის ინტერვენცია კამბოჯაში, ინტერვენციის განმახორციელებელი სახელმწიფოების პოზიციით, ეფუძნებოდა თავდაცვის უფლებას საზღვრის დარღვევების თუ ძალის გამოყენების მუქარის გამო. შესაბამისად, ეს მაგალითები არ მოწმობს ცალმხრივი ჰუმანიტარული ინტერვენციის სასარგებლოდ სახელმწიფოთა პრაქტიკის განვითარებას. გარდა ამისა, საერთაშორისო საზოგადოების მიერ ეს ინტერვენციები არ ყოფილა აღქმული როგორც კანონიერი. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფედერალური პარლამენტის წინაშე 1998 წლის 16 ოქტომბერს განაცხადა, რომ ნატოს გადაწყვეტილება იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკაში საჰაერო შეტევის განხორციელების შესახებ არ უნდა გამხდარიყო პრეცედენტი.<sup>33</sup>

კიდევ ერთ პრეცედენტს წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოს, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის იტალიისა და ჰოლანდიის საჰაერო და სახმელეთო ინტერვენცია ერაყში, რათა ქურთი მოსახლეობისათვის მიეცათ გაქცევის შესაძლებლობა. შეიქმნა სპეციალური არასაფრენი ზონები. საეჭვოა, ეს პრეცედენტი რამდენად გამოდგება ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის გასავითარებლად, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატები მისი ქმედებების გასამართლებლად ეყრდნობოდა უშიშროების საბჭოს 688-ე რეზოლუციას, თუმცაღა რეზოლუცია არ ითვალისწინებდა ძალის გამოყენების შესაძლებლობას. ბრიტანეთის მთავრობის განცხადებით კი აუცილებელი არ არის ბრიტანეთის, საფრანგეთის თუ ამერიკის შეერთებული შტატების ნებისმიერი ქმედება განერილი ყოფილიყო რეზოლუციით, თუ ეს არ არღვევდა საერთაშორისო სამართალს, ხოლო საერთაშორისო სამართალი იცნობს ჰუმანიტარულ საჭიროებას და არასაფრენი ზონის შემოსაღებად მათ გააჩნდათ ძლიერი სამართლებრივი და ჰუმანიტარული საფუძვლები.<sup>34</sup>

ჰუმანიტარული ინტერვენციის კანონიერების საკითხი განსაკუთრებით მძაფრად დადგა ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის („ნატო“) მიერ კოსოვოში სერბების მიერ განხორციელებული ეთნიკური წმენდის შესახებღად ძალის გამოყენების დროს 1999 წლის 31 მარტს. ნატო მოქმედებდა იმ დაშვებით,

<sup>32</sup> ICJ, Nicaragua Case, 207-ე აბზაცი.

<sup>33</sup> Oliver Dörr and Albercht Randelzhofer A., 'Purposes and Principles, Article 2 (4)' in The Charter of the United Nations: A Commentary, Volume, ed. Bruno Simma et al. (Oxford: Oxford University Press, 2012): 55.

<sup>34</sup> The statement is reprinted in British Year Book of International Law, 63 (1992), 824.

რომ უშიშროების საბჭოში შეუძლებელი იქნებოდა ავტორიზების მიღება, რუსული ვეტოდან გამომდინარე და მართლაც, რუსეთს უკვე შემუშავებული ჰქონდა რეზოლუცია ინტერვენციის დაუშვებლობის შესახებ, რომელიც არ იყო მიღებული.<sup>35</sup> გაერთიანებულმა სამეფომ უშიშროების საბჭოს შეხვედრაზე კვლავ ჰუმანიტარულ ინტერვენციაზე მითითებით დაიცვა საკუთარი პოზიცია: „განხორციელებული ქმედება კანონიერია. ის გამართლებულია, როგორც უკიდურესი ზომა, რომ მოხდეს შემაშფოთებელი ჰუმანიტარული კატასტროფის პრევენცია... ჩვენ გამოვიყენეთ ყველა გზა გარდა ძალისა, რათა აგვერიდებინა ეს სიტუაცია. ამ შემთხვევაში, როგორც საგამონაკლისო ზომა, უკიდურესი ჰუმანიტარული საჭიროებიდან გამომდინარე, სამხედრო ინტერვენცია სამართლებრივად საფუძვლიანია. გამოყენებული ძალა მიმართულია ექსკლუზიურად ჰუმანიტარული კატასტროფის აღმოსაფხვრელად და არის მინიმალური ამ მიზნის მიღწევის საჭიროებიდან გამომდინარე“.<sup>36</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში კი მხოლოდ ბელგია დაეყრდნო ჰუმანიტარულ ინტერვენციას, როგორც ძალის გამოყენების გამამართლებელ საფუძველს.<sup>37</sup> თუმცა აღნიშნულ საქმეში, სასამართლოს არ შეუფასებია 1999 წელს კოსოვოში ძალის გამოყენების კანონიერება, ვინაიდან არ ჰქონდა იურისდიქცია განეხილა ეს დავა.<sup>38</sup> რუსეთის მცდელობა, რომ ინტერვენცია უკანონოდ გამოცხადებულიყო ჩავარდა 12 ხმით 3-ის წინააღმდეგ. G77-ის საგარეო საქმეთა მინისტრებმა კი გააკეთეს განცხადება, რომ ე.წ. ჰუმანიტარულ ინტერვენციას არ გააჩნია საფუძველი გაეროს წესდებასა და საერთაშორისო სამართალში.<sup>39</sup>

სირიის პრეზიდენტის ბაშარ ალ ასადის რეჟიმის მმართველობის განმავლობაში 2013 წლის აგვისტოს მონაცემებით დაღუპული იყო 100,000-ზე მეტი ადამიანი და ლტოლვილების რაოდენობა აღწევდა დაახლოებით 2 მილიონ ადამიანს.<sup>40</sup> ამის გაუარესება გამოიწვია 2013 წლის 21 აგვისტოს მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე დამასკოსთან ახლოს ქიმიური იარაღების გამოყენებამ.<sup>41</sup> გაერთიანებული სამეფოს წარუმატებელი მცდელობის შემდეგ მიეღო რეზოლუცია გაეროს უშიშროების საბჭოში რუსეთისა და ჩინეთის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, 29 აგვისტოს გააკეთა განცხადება, სადაც აღნიშნული იყო, რომ როგორც საგამონაკლისო ზომა სირიაში სამხედრო ინტერვენციის განხორციელება კონკრეტული სამიზნეების გასანეიტრალებლად და შემდგომი თავდასხმების

<sup>35</sup> UN Doc S/PV.3989 (1999) 3, 5. რუსეთთან ერთად ამ რეზოლუციას მხარს უჭერდნენ ჩინეთი და ნამიბია.

<sup>36</sup> UN Doc. S/PV. 3988, 24 March 1999, 12.

<sup>37</sup> ICJ, Legality of Use of Force (Serbia and Montenegro v. Belgium), ICJ, Oral Pleadings of Belgium, CR 99/15, მე-11 და მე-16 აბზაცები.

<sup>38</sup> ICJ, Case Concerning Legality of Use of Force (Serbia and Montenegro v. Belgium), ICJ Reports (2004), 279, 129-ე აბზაცი.

<sup>39</sup> 'Ministerial Declaration of the twenty-third Annual Meeting of Ministers of Foreign Affairs of the Group of 77', 24 September 1999, 69-ე აბზაცი, [www.g77.org/doc/Decl1999.html](http://www.g77.org/doc/Decl1999.html) [ნანახია 12.03.2020].

<sup>40</sup> UNHCR: Two million Syrians are Refugees, 3 September 2013, <http://www.unhcr.org/522484fc9.html> [ნანახია 12.03.2020].

<sup>41</sup> United Nations Mission to Investigate Allegations of the Use of Chemical Weapons in the Syrian Arab Republic, Report on the Alleged Use of Chemical Weapons in the Ghouta Area of Damascus on 21 August 2013, <https://www.un.org/zh/focus/northafrica/cwinvestigation.pdf> [ნანახია 12.03.2020].

პრევენციისათვის, იქნებოდა საჭირო, პროპორციული და სამართლებრივად გამართლებული.<sup>42</sup> ერთ-ერთი შეფასებით, გაერთიანებული სამეფოს ეს განცხადება უსაფუძვლო იყო, რადგან გაეროს წესდების მე-2 მუხლით ძალის გამოყენების აკრძალვა წარმოადგენს *jus cogens* ნორმას, ხოლო ვენის სახელშეკრულებო სამართლის შესახებ კონვენციის 53-ე მუხლის მიხედვით, იმპერატიული ნორმა მხოლოდ სხვა *jus cogens* წესით შეიძლება შეიცვალოს. შესაბამისად, არსებული საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალი არ იძლეოდა იმ დასკვნის საშუალებას, რომ ჰუმანიტარული ინტერვენცია წარმოადგენდა ძალის გამოყენების აკრძალვიდან გამონაკლისს.<sup>43</sup>

2013 წლის მაისში საფრანგეთისა და გაერთიანებული სამეფოს მხრიდან ზენოლის შემდეგ, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა გადაწყვიტეს, რომ არ გაეგრძელებინათ ემბარგო სირიის ოპოზიციური ძალებისათვის იარაღის მიწოდებაზე.<sup>44</sup> აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებული იქნა სწორედ იმ მოტივით, რომ სირიაში შეიარაღებულ ჯგუფებს ჰქონოდათ იარაღი „სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად“, რაც არ დაარღვევდა ევროკავშირის სამართალს.<sup>45</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო მიიჩნევს, რომ შეიარაღებული ფორმირებებისთვის იარაღის მიწოდება არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში წარმოადგენს ძალის გამოყენებას.<sup>46</sup> შესაბამისად, იგულისხმება, რომ მინისტრთა საბჭო მოქმედებდა იმ დაშვებით, რომ სირიის შემთხვევაში არსებობდა გამონაკლისი ძალის გამოყენების აკრძალვიდან.

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის აპრილში განხორციელებული საჰაერო შეტევების გასამართლებლად ამერიკის, საფრანგეთისა და გაერთიანებული სამეფოს ოპოზიციით, მათსურდათ ასადის რეჟიმის მიერ სირიელი მოსახლეობის მიმართ მომავალი ქიმიური იარაღების გამოყენების პრევენცია. რუსეთი გამუდმებით ვეტოს ადებდა უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, რომლითაც უნდა დაგმოილიყო ასადის უკანონო ქმედებები სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ და ის ხელს უშლიდა სირიაში ქიმიური იარაღების გამოყენების გამოძიებასა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსათვის

<sup>42</sup> Chemical Weapon Use by Syrian Regime: UK government Legal Position, 29 August 2013, <https://www.gov.uk/government/publications/chemical-weapon-use-by-syrian-regime-uk-government-legal-position/chemical-weapon-use-by-syrian-regime-uk-government-legal-position-html-version> [ნანახია 12.03.2020]; ოფიციალური სამთავრობო განცხადების მიხედვით, ამგვარი სამხედრო ინტერვენციის სამართლებრივი საფუძველი იქნებოდა ჰუმანიტარული ინტერვენცია, რაც ემსახურება ჰუმანიტარული ტანჯვის შემცირებას და ქიმიური იარაღის გამოყენების პრევენციას.

<sup>43</sup> Manisuli Ssenyonjo, “Unilateral Military Action in the Syrian Arab Republic: A right to Humanitarian Intervention or a Crime of Aggression?” *International Human Rights Law Review* 2 (2013): 337. Council Declaration on Syria, 3241st Foreign Affairs Council Meeting, 27 May 2013.

<sup>44</sup> Council Declaration on Syria, 3241st Foreign Affairs Council Meeting, 27 May 2013.

<sup>45</sup> Tom Ruys, “Of Arms, Funding and “Non-lethal Assistance”: Issues Surrounding Third State Intervention in the Syrian Civil War”, *Chinese Journal of International Law* 13 (2014): para.17. აღსანიშნავია, რომ საბჭოს 2013 წლის 17 მაისის დეკლარაციის მიღებამდე ავსტრიამ გამოთქვა წუხილი, რომ სირიის ოპოზიციური ჯგუფებისათვის შეიარაღის მიწოდება გამოიწვევდა გაეროს წესდების მე-2(4) მუხლით განმტკიცებული ძალის გამოყენების აკრძალვის დარღვევას.

<sup>46</sup> Nicaragua Case, 228-ე აბზაცი.

სიტუაციის რეფერალს.<sup>47</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბარაკ ობამამ სირიასთან დაკავშირებით აღნიშნა: „სუვერენიტეტი ტირანებისთვის არ წარმოადგენს ფარს ჩაიდინონ მკვლევლობები და გამართლებას, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ თვალი დაიბრმავოს ასეთ სისასტიკეზე... ნუთუ ჩვენ მართლა უნდა მივიჩნიოთ, რომ მსოფლიო უძღურია რუანდისა და სრებრენიცას შემთხვევებში?“<sup>48</sup>

2017 წლის 7 აპრილს აშშ-მა განახორციელა 49 ტომაჰაკვის ჭურვის გასროლა ხან შეიხუნში ქიმიური იარაღის, ზარინის გაზის, გამოყენების საპასუხოდ, რამაც გამოიწვია 72 ადამიანის, მათ შორის ბავშვების, დაღუპვა. 2018 წლის აპრილში დამასკოს აღმოსავლეთში ქლორინის გაზის გამოყენების შემდეგ 80-ზე მეტი სამოქალაქო პირი დაიღუპა, რის საპასუხოდაც აშშ-მა, საფრანგეთმა და დიდმა ბრიტანეთმა განახორციელეს შეტევა სირიის წინააღმდეგ.

გაერთიანებული სამეფო კვლავ დაეყრდნო ჰუმანიტარული ინტერვენციის თეორიას და აღნიშნა, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს გააჩნია უფლება საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რომ გამონაკლის შემთხვევებში მიიღოს ზომები ჰუმანიტარული ტანჯვის შესამცირებლად. გაერთიანებულმა სამეფომ შეიმუშავა სამსაფეხურიანი ტესტი, რა შემთხვევაშიც ჰუმანიტარული ინტერვენცია არის კანონიერი, კერძოდ: 1) არსებობს საკმარისი მტკიცებულება, მიღებული მთლიანად საერთაშორისო საზოგადოების მიერ, რომ ექსტრემალურ და ფართომასშტაბიან ჰუმანიტარულ კატასტროფის გადასაჭრელად საჭიროა დაუყოვნებლივ ზომების მიღება; 2) ობიექტურად ნათელი უნდა იყოს, რომ არ არსებობს ძალის გამოყენების სხვა პრაქტიკული ალტერნატივა სიცოცხლის გადასარჩენად; 3) გამოყენებული ძალა უნდა იყოს საჭირო და პროპორციული ჰუმანიტარული კატასტროფის აღმოფხვრის მიზანთან და უნდა იყოს მკაცრად შეზღუდული დროში და ფარგლებში ამ მიზნის შესაბამისად.<sup>49</sup>

70-ზე მეტმა სახელმწიფომ საჯაროდ გამოხატა მოსაზრება 2018 წლის 14 აპრილის საჰაერო თავდასხმების შესახებ, რომელთაგანაც მხოლოდ რამდენიმემ, რუსეთისა და სირიის ჩათვლით, აღნიშნეს, რომ ამით დაირღვა საერთაშორისო სამართალი. რუსეთს ეჭვქვეშ არ დაუყენებია ჰუმანიტარული ინტერვენციის კანონიერება, არამედ აღნიშნა, რომ არ არსებობდა მტკიცებულები, რაც დაასაბუთებდა, რომ სირიამ განახორციელა ქიმიური

<sup>47</sup> U.N. SCOR, 73d Sess., 8233d mtg. at 2, U.N. Doc. S/PV.8233 (14 April 2018).

<sup>48</sup> Text of Obama's Speech at the UN' (24 September 2013), <https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/2013/09/24/remarks-president-obama-address-united-nations-general-assembly> [ნანახია 12.03.2020].

<sup>49</sup> Prime Minister's Office, Syria Action- U.K. Government Legal Position, 14 April 2018, <http://perma.cc/8C9X-HUY4> [ნანახია 12.03.2020]; მსგავსი პოზიცია ბრიტანეთმა პირველად გააუღერა 2013 წლის 31 აგვისტოს სირიის მთავრობის მიერ სავარაუდო ქიმიური იარაღის გამოყენების ფაქტზე: 'Chemical Weapon Use by Syrian Regime – UK Government Legal Position', 29 August 2013, [www.gov.uk/government/publications/chemical-weapon-use-by-syrian-regime-uk-government-legal-position/chemical-weapon-use-by-syrian-regime-uk-government-legal-position-html-version](http://www.gov.uk/government/publications/chemical-weapon-use-by-syrian-regime-uk-government-legal-position/chemical-weapon-use-by-syrian-regime-uk-government-legal-position-html-version) [ნანახია 12.03.2020].



თავდასხმა.<sup>50</sup>

ბევრი სახელმწიფო დღესაც გამოთქვამს წუხილს, რომ ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინა შესაძლოა ბოროტად იქნეს გამოყენებული და აქვს წესდებით შექმნილი სისტემის ჩამონგრევის პოტენციალი. მეცნიერთა უმეტესობა დღესდღეობით მიიჩნევს, რომ 1945 წლის შემდეგ განვითარებული სახელმწიფოთა პრაქტიკა არასაკმარისია ჰუმანიტარული ინტერვენციის კანონიერად აღიარებისათვის, თუნდაც ის აკმაყოფილებდეს გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მიერ შემუშავებულ ტესტს.<sup>51</sup> ასევე აღსანიშნავია, რომ მეცნიერთა ნაწილის შეფასებით ჰუმანიტარული ინტერვენცია, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოექცევა კანონიერების „ნაცრისფერ არეალში“.<sup>52</sup> ტადიჩის საქმეში ყოფილი იუგოსლავიისთვის შექმნილმა საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალმა შიდა შეიარაღებული კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებით აღნიშნა: „1948 წელს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღების შემდეგ, საერთაშორისო სამართალმა განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, კერძოდ მსოფლიო საზოგადოების მუდმივად თანმდევ პრობლემებთან დაკავშირებით. სახელმწიფოს სუვერენიტეტზე ორიენტირებული მიდგომა დროთა განმავლობაში ჩაანაცვლა ადამიანზე ორიენტირებულმა მიდგომამ. რომაულმა პრინციპმა *hominum causa omne jus constitutum est* (სამართალი იქმნება ადამიანების სასარგებლოდ) მყარად მოიკიდა ფეხი საერთაშორისო საზოგადოებაშიც.“<sup>53</sup> აღნიშნულ საკითხზე პოლიტიკის თვალსაზრისით გასათვალისწინებელია შემდეგი შეკითხვა, რომელიც ინტერვენციისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის საერთაშორისო კომისიამ დასვა: „შესაძლოა არსებობდეს გარემოებები, როდესაც უშიშროების საბჭო ვერ ასრულებს მასზე დაკისრებული დაცვის პასუხისმგებლობას შოკისმომგვრელ შემთხვევებში. ნამდვილი კითხვა ამ შემთხვევაში შემდეგია: რა უფრო აზარალებს საერთაშორისო მართლწესრიგს - უშიშროების საბჭოსთვის გვერდის ავლა, თუ ადამიანების გასულეტვა, როდესაც უშიშროების საბჭო უმოქმედოა?“<sup>54</sup>

<sup>50</sup> Dunkelberg A. et al., “Mapping States’ Reactions to the Syria Strikes of April 2018”, Just Security (7 May 2018), <https://www.justsecurity.org/55835/mapping-states-reactions-syria-strikes-april-2018-a-comprehensive-guide/> [ნანახია 12.03.2020].

<sup>51</sup> Peter Hilpold, “Humanitarian Intervention: Is There a Need for a Legal Reappraisal?”, *European Journal of International Law* 12 (2001): 437–67; Christian Henderson, “The UK Government’s Legal Opinion on Forcible Measures in Response to the Use of Chemical Weapons by the Syrian Government”, *International and Comparative Law Quarterly* 64 (2015): 194; Ian Brownlie, “Humanitarian Intervention”, in *Law and Civil War in the Modern World*, ed. John Norton Moore (1974), (Baltimore, MD: Johns Hopkins University Press): 217–28; Michael Byers and Simon Chesterman, “Changing the Rules about Rules? Unilateral Humanitarian Intervention and the Future of International Law”, in *Humanitarian Intervention. Ethical, Legal, and Political Dilemmas*, eds. J. L. Holzgrefe and Robert O. Keohane, (Cambridge: Cambridge University Press, 2003), 202–3.

<sup>52</sup> Adam Roberts, “The So-Called Right of Humanitarian Intervention”, *Yearbook of International Humanitarian Law* 3 (2000): 51.

<sup>53</sup> ICTY, *Prosecutor v. Tadić*, Decision on the Defence Motion for Interlocutory Appeal on Jurisdiction, ICTY-94-1-AR72, 2 October 1995, 97-ე აბზაკი.

<sup>54</sup> International Commission on Intervention and State Sovereignty (ICISS), *Responsibility to Protect*, UN Doc A/57/303, December 2001, para. 6.37; <http://responsibilitytoprotect.org/ICISS%20Report.pdf> [ნანახია 12.03.2020].

### 3. სამართლებრივი ოქსიმორონი: ძალის გამოყენება ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან ასარიდებლად, როგორც აზრსია

ნაშრომში უკვე დაზუსტდა აგრესიის დანაშაულის ფარგლები და გაანალიზდა ჰუმანიტარული ინტერვენციის ლეგალურობა და ლეგიტიმურობა პოლიტიკური საკითხების გათვალისწინებით. ახლა კი შეგვიძლია გადავიდეთ მსჯელობაზე, თუ რამდენად იყო კამპალას შესწორებების შემქმნელების მიზანი იმგვარი ძალის გამოყენების კრიმინალიზაცია, რაც ემსახურება ჰუმანიტარული კატასტროფის აღმოფხვრას და მოქმედებისათვის რამდენად ფართო არეალს აჩენს მე-8bis მუხლი. ჰუმანიტარული ინტერვენცია და აგრესია იმ პირობისათვის, ვისაც ამ ტერმინების შესახებ სამართლებრივი ცოდნა არ გააჩნია, შესაძლოა აღქმული იყოს როგორც ოქსიმორონი - ანუ ურთიერთგამომრიცხავი ცნებები, მაგრამ ნაშრომში უკვე გაანალიზდა, რომ სამართლებრივად ამგვარი ცალმხრივი ინტერვენციის კანონიერება არის სადავო საკითხი. მაგრამ, მიუხედავად მისი კანონიერებისა, აღწევს თუ არა ჰუმანიტარული ინტერვენცია აგრესიის დანაშაულის სიმძიმის ზღვარს? სტეფან ბარიგას შეფასებით, ჰუმანიტარული ინტერვენციის საკითხზე დელეგაციებს ღიად არ უსაუბრიათ, თუმცა ყველა დისკუსიის ქვეტექსტს წარმოადგენდა.<sup>55</sup> კამპალას შესწორებების განმარტებაში მითითებულია, რომ აგრესიის დასადგენად საჭიროა, ყველა რელევანტური გარემოების მხედველობაში მიღება, როგორცაა დანაშაულის სიმძიმე და მისი შედეგები. ჰუმანიტარული ინტერვენცია, შედეგების თვალსაზრისით, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ სასარგებლოა, ვინაიდან იგი ემსახურება ფართომასშტაბიანი ადმინისტრაციის უფლებათა დარღვევების შეჩერებას. თავად მე-8bis მუხლის მიხედვით აგრესიის დანაშაული წარმოადგენს ისეთ აგრესიის აქტს, რომელიც თავისი „ბუნებით, სიმძიმითა და მასშტაბით“ არის გაეროს წესდების აშკარა დარღვევა. გამომდინარე იქიდან, რომ „სიმძიმისა და მასშტაბის“ კრიტერიუმები ძირითადად რაოდენობრივი შეფასების საკითხია, უფრო კომპლექსური საკითხია, ჰუმანიტარული ინტერვენცია თავისი ხასიათით რამდენად წარმოადგენს გაეროს წესდების აშკარა დარღვევას.

#### 3.1 გაეროს წესდების „აშკარა“ დარღვევა

მეცნიერთა შორის არაერთხელ დაფიქსირდა უკმაყოფილება აგრესიის დანაშაულის სიმძიმის ზღვართან დაკავშირებით. ანდრეას პაულუსი აღნიშნავს, რომ ერთი მხრივ, ეს არის ძალიან შემზღვეველი სტანდარტი, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ძალიან ბუნდოვანია, რადგან ის, რაც ერთი მხარისთვის შესაძლოა აშკარა იყოს, მეორესთვის სრულად გაურკვეველია, რაც საერთაშორისო სამართალს ხშირად ახასიათებს.<sup>56</sup> დაპო აკანდე ეთანხმება პაულუსს და მიიჩნევს, რომ „აშკარად უკანონოს“ კრიტერიუმით შესაძლოა ეფექტურად იყოს გამოყენებული „სამართლის შეცდომა“,

<sup>55</sup> Stephen Barriga, “Negotiating the Amendments on the Crime of Aggression”, in *The Travaux Préparatoires of the Crime of Aggression*, eds. Stephen Barriga and Claus Kreß (Cambridge: Cambridge University Press, 2012): 10–1229.

<sup>56</sup> Andreas Paulus., “Second Thoughts on the Crime of Aggression”, *European Journal of International Law* 20 (2009), 1121.

როგორც ბრალის გამომრიცხავი გარემოება, რაც არ ვრცელდება სხვა დანაშაულებზე.<sup>57</sup> სინ მარფის აზრით ეს არის უპრეცედენტო განვითარება საერთაშორისო სამართალში, რადგან აღნიშნული ნორმის მიხედვით, ზოგიერთი აგრესიის აქტი შესაძლოა მიჩნეულ იქნეს კრიმინალურად და ზოგი კი არ წარმოადგენდეს გაეროს წესდების „აშკარა“ დარღვევას, მაშინ როდესაც გაეროს წესდებებში აგრესია არის იძულებითი ზომების გამოყენების ძირითადი საფუძველი.<sup>58</sup>

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოუწევს დააბუსტოს „აშკარა დარღვევის“ კრიტერიუმის ფარგლები და მნიშვნელობა ისეთ ძალის გამოყენების შემთხვევებში, რაც ფუნდამენტური დავის საგანია გლობალურ პოლიტიკაში. შესაბამისად, აგრესიის დანაშაულის არსებობის საკითხი სცდება ძალის გამოყენების კანონიერებისა თუ უკანონობის საკითხს და ისმის კითხვა, ამგვარი ძალის გამოყენების ლეგიტიმურობის შესახებ, ანუ ემსახურება თუ არა ძალის გამოყენება რაიმე ლეგიტიმურ „სიკეთეს“ (დაცვას, სტაბილურობის აღდგენას), თუნდაც უკანონოდ.<sup>59</sup> მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე პიტერ კუიმანსმა მის განცალკევებულ მოსაზრებაში შეიარაღებული მოქმედებების საქმეში უგანდის ინტერვენციასთან დაკავშირებით აღნიშნა: „ერთი სახელმწიფოს ჩარევა მეორის შიდა საქმიანობაში იშვიათადაა მარტივი გასაგები... განსაკუთრებით რთულია, რომ დავიცვათ ობიექტურობა დამაბნეველი და ურთიერთსაპირისპირო მტკიცებულებების არსებობის პირობებში... შესაბამისად, შედეგი იქნება მიკერძოებული, კომპლექსური და არასრულად დამაკმაყოფილებელი.“<sup>60</sup>

პროფესორ მარიეკე დე ჰუნის შეფასებით, აგრესიის დანაშაულის ფარგლები ფართოა, რაც იძლევა სამართლებრივად ურთიერთსაპირისპირო არგუმენტების განვითარების საშუალებას, წარმოადგენს თუ არა ძალის გამოყენება აგრესიის დანაშაულს. დანაშაულის ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობა წინააღმდეგობაში მოდის კანონიერების პრინციპთან და ქმნის საშიშროებას, რომ პროცესი შესაძლოა გარდაიქმნეს ისეთ სპექტაკლად, როდესაც სასამართლო პროცესს აქვს მხოლოდ სანახაობის დანიშნულება. მისი შეფასებით, მართალია ყველა დანაშაულს გააჩნია პოლიტიკური ასპექტი, თუმცა აგრესიის შემთხვევაში ეს საკითხი უფრო მწვავედ დგას, რადგან ძალის გამოყენების გასამართლებლად ხშირად იშველიებენ ისეთ არგუმენტებს, როგორცაა ეროვნული უსაფრთხოების დაცვა თუ ჰუმანიტარული მიზნები და სახელმწიფოები ეცდებიან პოლიტიკური გამართლება მოუძებნონ ძალის

<sup>57</sup> Dapo Akande, “Prosecuting Aggression: The Consent Problem and the Role of the Security Council”, Oxford Legal Studies Research Paper no. 10/2011 (2010), <http://ssrn.com/abstract=1762806> [ნანახია 12.03.2020].

<sup>58</sup> Sean Murphy, “Aggression, Legitimacy and the International Criminal Court”, *European Journal of International Law* 20 (2009), 1150–1151.

<sup>59</sup> Marieke de Hoon, “The Crime of Aggression’s Show Trial Catch-22”, *The European Journal of International Law* 29 (2018): 919-937.

<sup>60</sup> Armed Activities Case, para. 2; Separate Opinion of Judge Kooijmans, quoting Clark J., “Explaining Ugandan Intervention in Congo: Evidence and Interpretations”, 39 *Journal of Modern African Studies* (2001), 262.

გამოყენებას.<sup>61</sup>

კლაუს კრესი კი განმარტავს, რომ „აშკარა“ დარღვევის კრიტერიუმი სასამართლოს მისცემს შესაძლებლობას მივიდეს იმ სამართლებრივ შეფასებამდე, რომ *bona fide* ჰუმანიტარული ინტერვენცია წამოჭრის რთულ საკითხებს და საჭიროა ახლად განვითარებული პრაქტიკის შეფასება არსებული საერთაშორისო მართლწესრიგის ფონზე. ეს, რასაკვირველია, არ უნდა მივიღოთ, როგორც ამგვარი ძალის გამოყენების კანონიერად აღიარება. სასამართლო მხოლოდ აღიარებს, რომ არ დგება ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა *jus contra bellum*-ის სადავო შემთხვევებში.<sup>62</sup> მეცნიერთა ნაწილი ასევე მიიჩნევს, რომ „არსებითი“ დარღვევის ელემენტის ამგვარი ინტერპრეტაცია შესაბამისობაში იქნება რომის სტატუტის მიზანსა და ამოცანასთან, ვინაიდან მისი ძირითადი ამოცანაა მასობრივი ადამიანის უფლებების დარღვევების პრევენცია და დასჯა.<sup>63</sup>

მე-6 და მე-7 განმარტებების მიხედვით, აგრესია წარმოადგენს უკანონო ძალის გამოყენების ყველაზე სერიოზულ და სახიფათო ფორმას და აგრესიის აქტის დასადგენად საჭიროა თითოეული კონკრეტული საქმის ყველა გარემოების, მათ შორის ქმედების სიმძიმის შესწავლა. „აშკარა“ დარღვევის დასადგენად საჭიროა შეფასდეს სამივე კომპონენტი - მასშტაბი, სიმძიმე და ხასიათი. არცერთი კომპონენტი ცალკე აღებული არაა საკმარისი, რომ დააკმაყოფილოს ეს სტანდარტი. მე-6 განმარტების ტექსტი დიდ წილად ჰგავს გენერალური ასამბლეის მე-2 მუხლში მოცემულ აგრესიის დეფინიციას, თუმცა მნიშვნელოვანია ის განსხვავება, რომ რეზოლუცია აგრესიის დადგენის პრეროგატივას ანიჭებს უშიშროების საბჭოს, ხოლო განმარტებას ეს უფლებამოსილება გადააქვს სასამართლოს ორგანოებზე. როგორც ეს მე-6 განმარტებიდან იკვეთება, აგრესიის დანაშაულის არსებობისათვის საჭიროა ორმაგი ტესტის დაკმაყოფილება: პირველ რიგში, უნდა დადგინდეს თავად აგრესიის აქტის არსებობა, ხოლო შემდგომ კი ეს აქტი წარმოადგენს თუ არა „აშკარა“ დარღვევას და შესაბამისად, აგრესიის დანაშაულს. აქედან გამომდინარე, რთულია განვსაზღვროთ თუ რა განსხვავებული ფაქტორები უნდა იქნას მიღებული მხედველობაში ერთის მხრივ აგრესიის აქტის და მეორე მხრივ აგრესიის დანაშაულის დასადგენად. მე-6 განმარტება ასევე მიუთითებს ქმედების შედეგებზე.

მე-7 განმარტება შეეხება სამ კრიტერიუმს შორის ურთიერთმიმართებას. წინადადების ფორმულირებიდან გამომდინარე ნათელი არაა, ორი კრიტერიუმის დაკმაყოფილება საკმარისი იქნება აქტის აგრესიის დანაშაულად კვალიფიცირებისათვის, თუ სამივე უნდა შესრულდეს. მოლაპარაკების ეტაპზე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა იყო. ამერიკის

<sup>61</sup> Marieke de Hoon, “The Crime of Aggression’s Show Trial Catch-22”, *The European Journal of International Law* 29 (2018), 920.

<sup>62</sup> Claus Kreß, ‘Time for Decision: Some Thoughts on the Immediate Future of the Crime of Aggression: A Reply to Andreas Paulus’, *European Journal of International Law* 20 (2010): 1129, 1140.

<sup>63</sup> Elise Leclerc-Gagné E. and Michael Byers, “A Question of Intent: The Crime of Aggression and Unilateral Humanitarian Intervention”, *Case Western Reserve Journal of International Law* 41 (2009), 379, 390.



შეერთებული შტატები, მიუხედავად იმისა, რომ არ წარმოადგენს სტატუტის წევრ სახელმწიფოს, ემხრობოდა კუმულატიურ მიდგომას, რაც მე-8 *bis* მუხლის მოქმედების სფეროდან გამორიცხავდა ჰუმანიტარულ ინტერვენციასაც. ირანის დელეგაცია მიიჩნევდა, რომ სამიდან ორი კრიტერიუმის შესრულება საკმარისი იყო აგრესიის დანაშაულად კვალიფიცირებისათვის. საბოლოოდ, კომპრომისის სახით მე-7 განმარტებაში აისახა კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების შემოთავაზება.<sup>64</sup> თუ ვიხელმძღვანელებთ სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის მიხედვით, მე-8 *bis* მუხლში გამოყენებულია „და“ კავშირი, რაც მიუთითებს, რომ სამი კრიტერიუმი კუმულატიურად უნდა დაკმაყოფილდეს.

### 3.2 აგრესიის აქტის ხასიათი

„ხასიათის“ კრიტერიუმი ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, რომელიც შესაძლოა ჰუმანიტარული კატასტროფის აღმოფხვრისათვის ძალის გამოყენების აგრესიის დანაშაულის ფარგლებიდან გამორიცხვის საფუძველი გახდეს. როგორც ეს იკვეთება მოსამზადებელი სამუშაოებიდან, „ხასიათის“ კრიტერიუმით გამოირიცხება ისეთი შემთხვევები, რომლებიც ექცევა ე.წ. „ნაცრისფერ არეალში“ და რომელთა კანონიერებაც სადავოა. მოლაპარაკებების ისტორიიდან ირკვევა, რომ „ხასიათის“ კრიტერიუმი შეეხება პირების სუბიექტურ მოტივაციას: მათ აქვთ ოკუპაციისა და უცხოური ტერიტორიის ანექსიის განზრახვა, თუ ისინი, მაგალითად, ცდილობენ ფუნდამენტური ადამიანის უფლებების დაცვას? სასამართლოს შეუძლია გარკვეული მხრივ შემაკავებელი როლი შეასრულოს, რათა არ მოხდეს ჰუმანიტარული ინტერვენციის დოქტრინის ბოროტი გამოყენება, როდესაც შენიღბულად იგი ემსახურება აგრესორი სახელმწიფოების პოლიტიკურ ინტერესებს.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ კამპალას კონფერენციაზე ვერ შეძლო განმარტების მიღება, რომლის მიხედვითაც აგრესიის დანაშაული არ მოიცავს ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს გენოციდის, ომის დანაშაულის ან ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის პრევენციას. კერძოდ, შემოთავაზებული განმარტების მიხედვით:

*„...სტატუტის მიზნებისათვის ქმედება ვერ შეფასდება როგორც გაეროს წესდების აშკარა დარღვევა, თუ ობიექტურად ცალსახაა, რომ სახელმწიფო მოქმედებს ნორმალური პრაქტიკის და კეთილი განზრახვის შესაბამისად და შედეგად, ქმედება, რომლის მიზანიცაა სტატუტის მე-6, მე-7 და მე-8 მუხლში მოცემული ძირითადი დანაშაულების პრევენცია, არ წარმოადგენს აგრესიის აქტს.“<sup>65</sup>*

შესაბამისად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დელეგაციების მიერ ამერიკის აღნიშნული შემოთავაზების უარყოფის გამო, ჰუმანიტარული ინტერვენცია მართლაც ექცევა აგრესიის დანაშაულის ფარგლებში. ზოგიერთი დელეგაცია

<sup>64</sup> Claus Kreß C. et al., “Negotiating the Understandings on the Crime of Aggression” in: The Travaux Préparatoires of the Crime of Aggression, eds. Stephen Barriga and Claus Kreß (Cambridge: Cambridge University Press, 2012), 81, 96 et seq.

<sup>65</sup> Untitled, undated text, distributed by the US delegation after the meeting of the Working Group on the Crime of Aggression on 7 June 2010, reprinted in Barriga and Kreß, *supra* note 1, at 751.

ამის მომხრე ნამდვილად იქნებოდა.<sup>66</sup> თუმცა პროფესორი კლაუს კრესი, რომელიც ხელმძღვანელობდა განმარტებების მიღების პროცესს, მე-8bis მუხლში მოცემული სიმძიმის ზღვრის ანალიზის საფუძველზე ადგენს, რომ ცალმხრივი ძალის გამოყენება ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან ასარიდებლად არ დააკმაყოფილებს აგრესიის დანაშაულის სახელმწიფოს ქმედების ელემენტს. მისი შეფასებით, მთავარი მიზეზი რატომაც ამერიკის მიერ შემოთავაზებული სენსიტიური წინადადება არ იქნა მიღებული არ ყოფილა აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხზე, არამედ სახელმწიფოებს არ სურდათ საერთაშორისო უსაფრთხოების სამართლის ძირითადი საკითხების განხილვა დიპლომატიური მოლაპარაკებების ბოლო წუთებში.<sup>67</sup>

იგი მიიჩნევს, რომ ამგვარი ძალის გამოყენების გამორიცხვა აგრესიის დანაშაულის ცნებიდან შესაბამისობაშია საერთაშორისო სისხლის სამართლის ტელეოლოგიური განმარტებით. გენერალური ასამბლეის 2005 წლის მსოფლიო სამიტის დოკუმენტის მიხედვით, სუვერენიტეტის თანამედროვე გაგება მოიცავს იდეას, რომ სახელმწიფოს ძირითადი ვალდებულებაა მისი სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა საერთაშორისო დანაშაულების ჩადენისაგან; და მეორე, საერთაშორისო დაცვის მეორეხარისხოვანი პასუხისმგებლობა წარმოიშობა, როდესაც სახელმწიფოს ორგანოები ვერ ახერხებენ მათზე დაკისრებული დაცვის ფუნქციის შესრულებას.<sup>68</sup> ამგვარი ძალის გამოყენება მიმართულია იმ სიმძიმის დანაშაულებზე, რომელიც თავისი არსით გაეროს წესდების 39-ე მუხლის მიხედვით წარმოადგენს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის საფრთხეს. მართალია, ძალის გამოყენება ჰუმანიტარული კატასტროფის პრევენციის საჭიროებიდან გამომდინარე წარმოადგენს სიცოცხლის მოსპობის სერიოზულ რისკს ორივე მხარეს, მაგრამ მას აქვს პოტენციური გადაარჩინოს უფრო მეტი ადამიანის სიცოცხლე. ეს საკითხები შესაძლოა მორალთან უფროა დაკავშირებული, მაგრამ საერთაშორისო სისხლის სამართლის იურისტისთვის მხედველობაში მისაღებია ამ დანაშაულის ელემენტების ინტერპრეტაციის დროს.<sup>69</sup>

### 3.3 *Bona fide* ჰუმანიტარული ინტერვენციის კრიტერიუმები

კამპალას კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატი ბეტი ვან შაკი აღნიშნავს, რომ საბოლოოდ მიღებული რეზოლუციის ფორმულირება ისე უნდა განიმარტოს, რომ გამოირიცხოს *bona fide* ჰუმანიტარული ინტერვენციები აგრესიის დანაშაულის ფარგლებიდან. მეცნიერებმა შეიმუშავეს გარკვეული არსებითი და პროცედურული კრიტერიუმები, რომელთაც ჰუმანიტარული ინტერვენცია უნდა აკმაყოფილებდეს. სხვადასხვა დოკუმენტების ანალიზის შედეგად იკვეთება,

<sup>66</sup> Carrie McDougall, *The Crime of Aggression under The Rome Statute of The International Criminal Court*, (Cambridge: Cambridge University Press, 2013), 162.

<sup>67</sup> Claus Kreß and Leonie von Holtzendorff, "The Kampala Compromise on the Crime of Aggression", *Journal of International Criminal Justice* 8 (2010), 1179, 1205.

<sup>68</sup> General Assembly, 2005 World Summit Outcome, 16 September 2005, UN Doc. A/RES/60/1, 138–39-ე პუნქტები.

<sup>69</sup> Claus Kreß, "The State Conduct Element" in *The Crime of Aggression: A Commentary*, eds. Claus Kreß and Stephen Barriga, (Cambridge: Cambridge University Press, 2017) 525, 526.

რომ ფიგურირებს შემდეგი სამი ძირითადი მოთხოვნა: პირველი წინაპირობა არის ფართომასშტაბიანი ჰუმანიტარული კრიზისის არსებობა, რომელიც არის სახელმწიფოს მოქმედების თუ უმოქმედობის შედეგი. მეორე წინაპირობაა, რომ სამხედრო ინტერვენცია უნდა იყოს უკანასკნელი ზომა ანუ ამოწურული უნდა იყოს სიტუაციის გადაჭრის სხვა ალტერნატივები. მესამე წინაპირობაა, რომ ჰუმანიტარული ინტერვენცია აკმაყოფილებდეს პროპორციულობის ტესტს. დაგეგმილი სამხედრო ინტერვენციის მასშტაბი, ხანგრძლივობა და ინტენსივობა არ უნდა აღემატებოდეს იმას, რაც საჭიროა განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.<sup>70</sup>

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორს მოუწევს შეაფასოს ოპერაციის დაგეგმვა და სისრულეში მოყვანა ხომ არ სცდება ძალის გამოყენების იმ საზღვრებს, რაც საჭირო იქნებოდა ჰუმანიტარული კატასტროფის შესაჩერებლად. მაგალითისათვის, თუ ოპერაციის ფარგლები გასცდება იმ რეგიონის ფარგლებს, სადაც ადგილი ჰქონდა სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ ფართომასშტაბიან შეტევას.

გარდა იმ ძირითადი, არსობრივი კრიტერიუმებისა, რასაც ჰუმანიტარული ინტერვენცია უნდა აკმაყოფილებდეს, მეცნიერების მიიჩნევენ, რომ საჭიროა, გარკვეული პროცედურული ნაბიჯების გადადგმაც: კერძოდ, ჰუმანიტარული ინტერვენცია დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაეროს უშიშროების საბჭოს ერთი ან მეტი მუდმივი წევრი ვეტოს დაადებს იმ სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ რეზოლუციას, რომელიც შემოთავაზებული იქნება წესდების VII თავის შესაბამისად ავტორიზების მისაღებად. ხოლო უფრო მარტივი პროცედურის მიხედვით, ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელება დასაშვებია უნდა იყოს იმ შემთხვევაშიც, თუ ერთ-ერთი მუდმივი წევრის გაკეთებული განცხადებებიდან იკვეთება, რომ ვეტო გარდაუვალი იქნება, ანუ „ფარული ვეტოს“ არსებობა საკმარისია.<sup>71</sup>

შესაბამისად, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ არჩევანი უნდა გააკეთოს ორ მიდგომას შორის და წარმოიშობა საკითხი, თუ როგორ უნდა განიმარტოს გაეროს წესდების მიზნები და პრინციპები. თუ მივიჩნევთ, რომ გაეროს წესდების უმნიშვნელოვანესი მიზანია ომის პრევენცია და მომავალ თაობათა დაცვა ომის შედეგებისაგან, მაშინ შესაძლოა კოსოვოს ინტერვენცია „აშკარა“ დარღვევად მივიჩნიოთ.<sup>72</sup> ხოლო თუ ჩავთვლით, რომ გაეროს ერთ-ერთ ძირითად მიზანს ასევე წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვა და ბელგრადში განხორციელებული კამპანია ამას ემსახურებოდა, ის არ უნდა დაკვალიფიცირდეს აგრესიის დანაშაულად.<sup>73</sup>

<sup>70</sup> International Commission on Intervention and State Sovereignty (ICISS), Responsibility to Protect, UN Doc A/57/303, December 2001, Annex, xi–xii.

<sup>71</sup> Nigel Rodley, “Humanitarian Intervention”, in *The Oxford Handbook of the Use of Force in International Law*, ed. Marc Weller, (Oxford: Oxford University Press, 2015), 775, 790.

<sup>72</sup> Erin Creegan, “Justified Uses of Force and the Crime of Aggression”, *Journal of International Criminal Justice* 10 (2012): 59.

<sup>73</sup> Charter of the United Nations, (მიღებულია 1945 წლის 26 ივნისს, ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს) პრეამბულა და 1(3) მუხლი.

#### 4. საქართველოს ტერიტორიაზე, ცხინვალის რეგიონში, რუსეთის მიერ 2008 წელს განხორციელებული ინტერვენციის სამართლებრივი შეფასება კავკასიის შესწორების ფრილში

##### 4.1 2008 წლის ომი საქართველოსა და რუსეთს შორის

დომინიკი მედვედევი 2008 წლის 8 აგვისტოს გამართულ კონფერენციაზე განაცხადა, რომ ქართველმა ჯარისკაცებმა რუსი სამშვიდობოებისა და სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ 7 აგვისტოს ჩაიდინეს „აგრესიის აქტი“.<sup>74</sup> მედვედევი ეს დაახასიათა, როგორც „საერთაშორისო სამართლისა და იმ მანდატის მძიმე დარღვევა, რაც საერთაშორისო საზოგადოებამ დააკისრა რუსეთს, როგორც პარტნიორს სამშვიდობო პროცესში“. მან აღნიშნა, რომ დახოცილი პირების უმეტესობა წარმოადგენდა რუს მოქალაქეს. ერთი კვირის შემდეგ გამართულ კონფერენციაზე, მედვედევი ინტერვენციის გასამართლებლად ჰუმანიტარული მიზეზები მოიხმო და აღნიშნა: „ოსები მხოლოდ რუს სამშვიდობოებს ენდობიან, რადგან ბოლო 15 წლის განმავლობაში განვითარებულმა ქმედებებმა აჩვენა, რომ მხოლოდ რუს სამშვიდობოებს შეუძლიათ მათი ინტერესებისა და სიცოცხლის დაცვა.“<sup>75</sup> ნოემბერში გამართულ პრეს კონფერენციაზე მედვედევი კიდევ ერთხელ ახსნა რუსეთის ქმედებები აგვისტოს ომში: „ჩვენ უნდა განგვეხორციელებინა ინტერვენცია, რათა დაგვეცვა ადამიანები და დაგვეცვა მათი უფლება, ეარსებათ, როგორც ეთნიკურ ჯგუფს და რათა მოგვეხდინა ჰუმანიტარული კატასტროფის პრევენცია. ჩვენი ინტერვენცია იყო შეზღუდული და აბსოლუტური აუცილებლობით განპირობებული. ჩვენ ვმოქმედებდით საერთაშორისო სამართლის, მათ შორის გაეროს წესდების და თავდაცვის უფლების შესაბამისად“.<sup>76</sup>

ამის საწინააღმდეგოდ ბევრმა დასავლურმა მთავრობამ რუსეთის ჩართვა შეიარაღებულ კონფლიქტში უკანონოდ მიიჩნია. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივანმა დევიდ მილიბენდმა გვიან აგვისტოში განაცხადა, რომ ის, რაც რუსეთმა ჩაიდინა ბევრად სცდება სამშვიდობო მისიის ფარგლებს. მან ასევე ერთმანეთისაგან განასხვავა ნატოს ცალმხრივი ინტერვენცია კოსოვოში და რუსეთის ინტერვენცია საქართველოში: „ნატოს ქმედებები კოსოვოში მოჰყვა ადამიანის უფლებათა დრამატულ და სისტემურ დარღვევებს, რისი კულმინაციაც იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში არნახული მასშტაბის ეთნიკური წმენდა. ნატომ კოსოვოში მოქმედება დაიწყო უშიშროების საბჭოში გამართული ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ. მილოსევიჩთან გაგზავნილ იქნენ სპეციალური ელჩები, რომელთაც მას გააფრთხილეს მისი ქმედებების შედეგების შესახებ. აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია რუსეთის მიერ საქართველოში ძალის გამოყენების დროს“.<sup>77</sup>

აღნიშნულის მსგავსად, 11 აგვისტოს გამართულ კონფერენციაზე აშშ-ს ელჩმა გაეროში რუსეთი გააკრიტიკა და დააფიქსირა, რომ „თუ

<sup>74</sup> Gregory Hafkin, “The Russo-Georgian War of 2008: Developing the Law of Unauthorized Humanitarian Intervention After Kosovo”, Boston University International Law Journal 28 (2010): 226.

<sup>75</sup> Ibid.

<sup>76</sup> Ibid.

<sup>77</sup> Ibid. 227.



რუსეთის განზრახვა იყო სამხრეთ ოსეთში *status quo ante*-ს აღდგენა, მაშინ რატომ დაიწყო მეორე ფრონტი აფხაზეთიდან? რატომ მიიტანეს იერიში საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე? რატომ დაესხნენ თავს საქართველოს ინფრასტრუქტურას? რატომ იმუქრებოდნენ თბილსში სამოქალაქო აეროპორტზე თავდასხმით?<sup>78</sup> კონგრესმა მის ერთ-ერთ რეზოლუციაში აღიარა, რომ რუსეთის ინტერვენცია საქართველოში უკანონო იყო: „აშშ გმობს საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე თავდასხმას რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალების მიერ, რამაც დაარღვია საერთაშორისო სამართალი, მათ შორის, გაეროს წესდება, სოჭის 1992 წლის შეთანხმება, რაც არეგულირებდა რუსი სამშვიდობოების ქმედებას სამხრეთ ოსეთში“.<sup>79</sup>

8 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭოს შეხვედრაზე რუსეთის წარმომადგენელმა გააკეთა განცხადება, რომ მიუხედავად მიმდინარე დიპლომატიური ნაბიჯებისა, საქართველომ ომი არჩია.<sup>80</sup> ქართველმა დიპლომატმა მომდევნო შეხვედრაზე აღნიშნა, რომ რუსეთმა განახორციელა წინასწარ დაგეგმილი სამხედრო ინტერვენცია, რაზეც რუსეთის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საქართველოს აგრესია განხორციელდა გაეროს წესდების ფუნდამენტური პრინციპების დარღვევით, რომელიცაა ძალის გამოყენების აკრძალვა.<sup>81</sup> ბრიტანეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ჰუმანიტარული დახმარება არ შეიძლება იყოს არაქართველი ჯარისკაცების ცხინვალში ყოფნის საფუძველი. რუსეთის წარმომადგენელი კი კვლავ ჰუმანიტარულ მიზეზებზე უთითებდა და აღნიშნავდა, რომ ადგილი ჰქონდა ეთნიკურ წმენდას, რადგან 70,000 მოსახლიანი ქალაქი განადგურდა. 19 აგვისტოს უშიშროების საბჭოს შეხვედრაზე, რუსეთმა კიდევ ერთხელ მოიხმო ჰუმანიტარული მიზეზები ინტერვენციის გასამართლებლად. ამერიკისა და საფრანგეთის წარმომადგენლები კი უარყოფდნენ რუსეთის ამ არგუმენტს თავდაცვის უფლების გამოყენებაზე და უთითებდნენ, რომ ოპერაციის მასშტაბები ბევრად გასცდა კონფლიქტის ზონას.

## 4.2 სამართლებრივი შეფასება

მართალია აგრესიის დანაშაული არ ვრცელდება საქართველოსა და უკრაინის სიტუაციაზე, რადგან რუსეთი არც რომის სტატუსის მხარეა და არც კამპალას შესწორებები აქვს რატიფიცირებული, მაგრამ საინტერესოა მსგავს სიტუაციაში რუსეთის მიერ ძალის გამოყენება თუ დაკვალიფიცირდება გაეროს წესდების აშკარა დარღვევად. პუტინმა საქართველოსა და უკრაინაში ინტერვენციისთვის ფაქტობრივად გამოიყენა იდენტური ტერმინოლოგია და სამართლებრივი არგუმენტაცია, რაც დასავლურმა სახელმწიფოებმა გამოიყენეს კოსოვოს დამოუკიდებლობის გასამართლებლად. ასეთი პარალელის გავლება უადგილოა, რადგან ნატოს მოქმედება კოსოვოში წარმოადგენდა *sui generis* შემთხვევას და არ ქმნიდა პრეცედენტს, გარდა ამისა, საქართვე-

<sup>78</sup> Nichol J., Congressional Research Service, Russia-Georgia Conflict in South Ossetia: Context and Implications for U.S. Interests (2008), 24-29, [https://www.everycrsreport.com/files/20080813\\_RL34618\\_af7d22e7f33f1eadc090b329791f1bbc6fad71e4.pdf](https://www.everycrsreport.com/files/20080813_RL34618_af7d22e7f33f1eadc090b329791f1bbc6fad71e4.pdf) [ნანახია 12.03.2020].

<sup>79</sup> H.R. 6911, 110th Cong. para.2 (1) (2008).

<sup>80</sup> U.N. SCOR, 63rd Sess., 5951st mtg. at 2, U.N. Doc. S/PV.5951 (8 August 2008).

<sup>81</sup> U.N. SCOR, 63rd Sess., 5952nd mtg. at. 2, U.N. Doc. S/PV.5952.

ლოს, უკრაინისა და კოსოვოს სიტუაციები არ იყო მსგავსი ადამიანის უფლებათა დარღვევების კუთხით, მაგრამ ვინაიდან რუსეთი ეყრდნობოდა ჰუმანიტარულ ინტერვენციას, როგორც ძალის გამოყენების ერთ-ერთ გამამართლებელ საფუძველს, ნაშრომის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია შევავსოთ, რამდენად მიაღწევდა ის აგრესიის დანაშაულის სიმძიმის ზღვარს.

თუმცა, რუსეთის მიერ აგრესიის დანაშაულის ჩადენის ფაქტის თაობაზე საუბრამდე, უპირველეს ყოვლისა, შევხვით 2008 წელს *საქართველოს მიერ* ძალის გამოყენების კანონიერების საკითხს, რადგან ჰეიდი ტალიავინი საქართველოს კონფლიქტში დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისიის (შემდეგში „მისია“) დასკვნაში მიუთითებს, რომ „საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის არსებულ შეიარაღებულ კონფლიქტში ძალის გამოყენება იყო 'სხვაგვარად შეუთავსებელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებასთან', რის გამოც ძალის გამოყენების აკრძალვა ვრცელდება კონფლიქტზე“.<sup>82</sup>

ნაშრომის ავტორის მოსაზრებით, მისიის ეს შეფასება მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს და წინააღმდეგობაში მოდის გაეროს მე-2(4) მუხლის სწორ ინტერპრეტაციასთან. გავრცელებული მოსაზრების შესაბამისად, წესდების მე-2(4) მუხლში მოცემული ძალის გამოყენების აკრძალვის ადრესატები და დაცული მხარეები არიან უდავოდ მხოლოდ სახელმწიფოები.<sup>83</sup> კერძო პირები და დაჯგუფებები არ ექცევიან ძალის გამოყენების აკრძალვის ფარგლებში არც მე-2 (4) მუხლის და არც ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, თუნდაც ისინი ფლობდნენ საკმარის ფინანსურ, სამხედრო და ორგანიზაციულ შესაძლებლობებს, რომ განახორციელონ სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმა, რომელსაც ექნება სახელმწიფოთაშორისი ძალის გამოყენების მასშტაბები.<sup>84</sup> მოცემულ მუხლში გამოყენებულია ტერმინი „საერთაშორისო ურთიერთობებში“ და შესაბამისად, ძალის გამოყენება ერთი სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში არ მოექცევა მასში. ეს ნორმა არ ზღუდავს მემამოხეებს, რომ დაიწყოთ სამოქალაქო ომი და არც მთავრობას უზღუდავს მათ მიმართ შეიარაღებული ძალის გამოყენებას.<sup>85</sup> მსგავსად, პროფესორი კრესი მიიჩნევს, რომ გაეროს წესდების მე-2(4) მუხლის ტრადიციული გაგების შესაბამისად, აკრძალვა ვრცელდება მხოლოდ სახელმწიფოებს შორის და შემდგომი პრაქტიკა, აღნიშნული ფარგლების გასაფართოებლად არასაკმარისია და წესდების 22-ე მუხლის შესაბამისად, მე-8 *bis* მუხლის მე-2 პუნქტის 1-ელი წინადადება უნდა განიმარტოს ვიწროდ, სანამ წესდების მე-2 (4) მუხლთან მიმართებით პრაქტიკა სხვაგვარად არ განვითარდება. კლაუს კრესი ასევე ეყრდნობა კონკრეტულად საქართველოს მაგალითს და აღნიშნავს: „ამგვარ [ვიწრო] ინტერპრეტაციას ხელს ვერ შეუშლის სახელმწიფოსა და არასახელმწიფოებრივი პოლიტიკურ ერთეულს შორის

<sup>82</sup> Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia (2009), Volume II, 239.

<sup>83</sup> Oliver Dörr and Albercht Randelzhofer A., 'Purposes and Principles, Article 2 (4)' in The Charter of the United Nations: A Commentary, Volume, ed. Bruno Simma et al. (Oxford: Oxford University Press, 2012): 29-ე აბზაცი.

<sup>84</sup> Ibid., 31-ე აბზაცი.

<sup>85</sup> Ibid., 32-ე აბზაცი.

გაფორმებული შეთანხმება, რომლის მიხედვითაც წესდების მე-2(4) მუხლი ვრცელდება ორ მხარეს შორის. ამ შემთხვევაში პოლიტიკური ერთეულის მიმართ ძალის გამოყენების შემთხვევაში შესაძლოა დაირღვეს შეთანხმება, მაგრამ წესდების მე-2(4) მუხლის პირდაპირი გავრცელება იქნებოდა ღია საკითხი, ამიტომ სასამართლოს მოუწევს ამგვარ სიტუაციაში მე-8 *bis* მუხლის გავრცელებისაგან თავის შეკავება.<sup>86</sup>

რაც შეეხება მთავარ საკითხს, ანუ რუსეთის მიერ ძალის გამოყენების კანონიერებას, მისია აფასებს, თუ რამდენად საფუძვლიანი იყო რუსეთის არგუმენტი, რომ იგი იყენებდა თავდაცვით ძალას რუსეთის სამშვიდობოებზე საქართველოს მიერ განხორციელებული თავდასხმის გამო.<sup>87</sup> მისია მიუთითებს გენერალური ასამბლეის 3314-ე რეზოლუციის მე-3 მუხლის „დ“ პუნქტზე და აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები დაცულია, ვის ტერიტორიაზეც არ უნდა იყვნენ ისინი განთავსებული და აღნიშნულია, რომ რუსეთს შეეძლო თავდაცვითი ძალის გამოყენება, თუ საქართველოს მიერ რუსი სამშვიდობოების მიმართ გამოყენებული ძალა თვითონ არ წარმოადგენდა თავდაცვას, ხოლო მისიამ ვერ შეძლო გადაჭრით დაედგინა საქართველოს მიერ რუს სამშვიდობოებზე თავდასხმის ფაქტი.<sup>88</sup> მიუხედავად იმისა, რომ მისიას, რომლის მთავარი მანდატიც იყო ფაქტების სწორად დადგენა, არ გააჩნია ჩამოყალიბებული პოზიცია ერთ-ერთ ძირითად საკითხზე, დასკვნაში მითითებულია, რომ საქართველოს მხრიდან ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ თავდასხმას 51-ე მუხლის მიზნებისათვის და რუსეთის სამხედრო შეტევა იქნებოდა გამართლებული, დაცული რომ ყოფილიყო თავდაცვის სხვა კრიტერიუმები.<sup>89</sup> შემდეგ კი დასკვნაში შეფასებულია თავდაცვითი ძალის გამოყენების პროპორციულობისა და საჭიროების კრიტერიუმები და აღნიშნულია, რომ რუსეთის რეაგირება გასცდა რუსულ ბაზებზე ქართული თავდასხმის ფარგლებს და შესაბამისად, არ იყო საჭირო და ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ მიყენებული ზარალი ვერცერთ შემთხვევაში ვერ იქნება გამართლებული, რის გამოც რუსეთის სამხედრო ინტერვენცია არ იყო საჭირო და პროპორციული სამხრეთ ოსეთში რუსი სამშვიდობოების დასაცავად.<sup>90</sup> დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ რუსეთი ვერ გაამართლებდა მის მიერ ძალის გამოყენებას, როგორც არსებული სამშვიდობო მისიის მანდატის შესრულებას,<sup>91</sup> სამხრეთ ოსეთს არ შეეძლო მოეწვია რუსეთი, რათა მისთვის მხარდაჭერა გაეწია სამხედრო საშუალებებით,<sup>92</sup> რუსეთის ქმედებები არ იყო გამართლებული, როგორც კოლექტიური თავდაცვა,<sup>93</sup> რუსეთის მიერ ძალის გამოყენება არ იყო გამართლებული, როგორც ჰუმანიტარული ინტერვენცია და საზღვარგარეთ მოქალაქეების დაცვა.<sup>94</sup>

<sup>86</sup> Claus Kreß, “The State Conduct Element” in *The Crime of Aggression: A Commentary*, eds. Claus Kreß and Stephen Barriga (Cambridge: Cambridge University Press, 2017), 435.

<sup>87</sup> Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia (2009), Volume II, 264.

<sup>88</sup> *Ibid.*, 265.

<sup>89</sup> *Ibid.*, 269.

<sup>90</sup> *Ibid.*, 275.

<sup>91</sup> *Ibid.*, 276.

<sup>92</sup> *Ibid.*, 280.

<sup>93</sup> *Ibid.*, 283.

<sup>94</sup> *Ibid.*, 284-289.

ნაშრომის ავტორი ეთანხმება მისიის დასკვნას იმ ნაწილში, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული ინტერვენცია არცერთი საფუძვლით გამართლებული არ იყო, თუმცა მიიჩნევს, რომ ადგილი არ ჰქონია რუსეთის მიერ თავდაცვის უფლების გამოყენებას შემდეგი სამი მიზეზის გამო: *პირველ რიგში*, ზოგადად საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ძალის გამოყენების უფლება უცხო ქვეყნებში არსებული სამშვიდობო მისიის წევრების დასაცავად და არც საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული რომელიმე ხელშეკრულება უშვებდა ამგვარ ძალის გამოყენებას. პირიქით, სოჭის შეთანხმების მე-2 მუხლის მიხედვით კონფლიქტის ზონიდან უნდა გასულიყვნენ რუსი ჯარები, რომლებიც არ იყვნენ სამშვიდობო მისიის წევრები. სოჭის შეთანხმების მე-5 მუხლი დავის მოგვარებას აკისრებდა შერეული კონტროლის კომისიას და არა ინდივიდუალურ სახელმწიფოებს, რის გამოც, როგორც რთი ალისონი აღნიშნავს, რუსეთის არგუმენტის გამყარება ძალიან რთულია.<sup>95</sup> სამშვიდობო მისია აგრესიის დაწყების პრეტექსტი კი არ უნდა იყოს, არამედ უნდა ემსახურებოდეს იმგვარი ომის თავიდან არიდებას, რაც რუსეთმა დაიწყო აგვისტოში. კირგისი მიიჩნევს, რომ „ძირითადი პრინციპია, რომ ოპერაცია არ უნდა ჩაერიოს მასპინძელი სახელმწიფოს შიდა საქმიანობაში და არანაირად არ უნდა მიემხროს რომელიმე მხარეს უფრო მეტად.“<sup>96</sup> ლევან ალექსიძე ეყრდნობა რთი ალისონის შეფასებას, რომელიც თავის მხრივ უთითებს, რომ „სამშვიდობოებს შორის დანაკარგი, და გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი, ხშირად მომხდარა, მაგრამ არცერთ „დედა სახელმწიფოს“ არ მოუწყვია ამის გამო ინტერვენცია ათიათასობით ჯარისკაცის გამოყენებით იმ სახელმწიფოს მიმართ, რომლის ტერიტორიაზეც ეს მოხდა.“<sup>97</sup> *მეორე რიგში*, სამშვიდობოებისათვის საერთაშორისო სამართლით მინიჭებული დაცვა მოქმედებს იქამდე, სანამ სამშვიდობოები არიან ნეიტრალურები. მათი სტატუსი წყვეტს მოქმედებას ავტომატურად, როგორც კი ისინი მონაწილეობას ლეგლობენ შეიარაღებულ მოქმედებებში. მარატ კულახმეტოვსა და მამუკა ყურაშვილს შორის სატელეფონო ჩანაწერით დასტურდება, რომ 8 აგვისტოს დილის 00:23 საათზე რუსი სამშვიდობოები ქართული ძალების კოორდინატებს აწვდიდნენ სამხრეთ ოსეთის არტილერიას. ხოლო 8 აგვისტოს დილის 6 საათზე საქართველოს ძალებს რუსული სამშვიდობოების შტაბბინიდან „ვერხნი გოროდოკიდან“ გაუხსნეს ცეცხლი. გარდა პირდაპირი თავდასხმისა, „ვერხნი გოროდოკი“ გამოიყენებოდა ქართული შეიარაღებული ძალების მიმართ საარტილერიო ცეცხლის კორექტირების მიზნითაც.<sup>98</sup> აღსანიშნავია, რომ იერიში მიტანილი იქნა მხოლოდ იმ რუსი სამშვიდობოების მიმართ, რომლებიც პირდაპირ იღებდნენ მონაწილეობას შეიარაღებულ მოქმედებებში და არა სხვა რუსული სამშვიდობო პოსტების მიმართ. შესაბამისად, არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ რუსმა სამშვიდობოებმა თავად მიიტანეს იერიში

<sup>95</sup> Roy Allison, “Russia resurgent? Moscow’s campaign to ‘Coerce Georgia to Peace’”, *International Affairs* 84 (2008), 1152.

<sup>96</sup> Frederic Kirgis, *International Organizations in their legal setting* (1993), 717.

<sup>97</sup> ლევან ალექსიძე, „საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი საერთაშორისო დამოუკიდებელი მისიის მოხსენების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტები“, *საერთაშორისო სამართლის ჟურნალი* (2010), 8.

<sup>98</sup> Independent International Fact-Finding Mission on the Conflict in Georgia (2009), Volume II, 265.



და ღებულობდნენ პირდაპირ მონაწილეობას შეიარაღებულ მოქმედებებში, მათ დაკარგეს სამშვიდობო სტატუსი, რის გამოც საქართველოს მიერ ძალის გამოყენება წარმოადგენდა თავდაცვას, ხოლო რუსეთის მიერ - არა. *მესამე რიგში*, რუსეთმა იმაზე ბევრად ადრე დაიწყო საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრა (7 აგვისტოს დილის საათებში), სანამ რაიმე ტიპის დაპირისპირებას ექნებოდა ადგილი ქართულ ჯარებსა და რუს სამშვიდობოებს შორის (8 აგვისტოს დილის 6 საათზე).

აქვე უპრიანია, გავიხსენოთ ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის პრეზიდენტისა და დარფურის საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარის, ანტონიო კასესეს შეფასება სტატიაში - „მგელი, რომელმაც შეჭამა საქართველო“: „რუსეთმა ჩამოაყალიბა რამდენიმე მიზეზი, რათა გაემართლებინა სამხედრო ინტერვენცია საქართველოში, სადაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონები კვლავაც საქართველოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფებიან. რუსეთი ცდილობს, დაასაბუთოს, რომ მისი ინტერვენცია მიზნად ისახავდა 1) შეეჩერებინა საქართველოს აგრესია სამხრეთ ოსების წინააღმდეგ; 2) აღეკვეთა საქართველოს მიერ იქ ჩადენილი ეთნიკური წმენდის, გენოციდისა და ომის დანაშაულები; 3) დაეცვა რუსეთის მოქალაქეები; და 4) დაეცვა სამხრეთ ოსეთში მცხოვრები მოსახლეობა ბორის ელცინისა და ედუარდ შევარდნაძეს შორის 1992 წელს დადებული სამშვიდობო შეთანხმების საფუძველზე. არცერთი აღნიშნული სამართლებრივი საფუძველი ვერ უძლებს კრიტიკას. საქართველო თავისი ჯარების გაგზავნით უდავოდ პოლიტიკურად წინდაუხედავად მოქმედებდა, მაგრამ მას არ დაურღვევია არცერთი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმა, როგორც ნომინალურიც არ უნდა ყოფილიყო მისი სუვერენიტეტი. არც გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ნიშნები იკვეთება; ოსების წინააღმდეგ ომის დანაშაულების ჩადენის შემთხვევაშიც კი, შეიარაღებული შეტევა არ არის გამართლებული. უფრო მეტიც, სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ მოსახლეობას აქვს რუსეთის მოქალაქეობა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთმა ცოტა ხნის წინ მიანიჭა მათ თავისი მოქალაქეობა ცალმხრივად.“<sup>99</sup> უდავოა, რომ რუსეთის მიერ განხორციელებული ქმედებები მთლიანად თავსდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2(4) მუხლით აკრძალული პრინციპისა და გენერალური ასამბლეის 3314-ე რეზოლუციის ჩარჩოში,<sup>100</sup> მეტიც, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი თავისი ხასიათითა და მასშტაბით იყო გაეროს წესდების *აშკარა* დარღვევა, რაც უდავოდ აღწევს მე-8 *bis* მუხლში მოცემული აგრესიის დანაშაულის სიმძიმის ზღვარს.

### დასკვნა

აგრესიის დანაშაულზე იურისდიქციის გავრცელება მართლაც გარდამტეხი მომენტი საერთაშორისო მართლწესრიგში. ეს პროცესი პირველი მსო-

<sup>99</sup> Antonio Cassese, “The Wolf that Ate Georgia“ (1 September 2008), <https://www.theguardian.com/commentisfree/2008/sep/01/georgia.russia1> [ნანახია 12.03.2020].

<sup>100</sup> ლევან აღუქსიძე, *supra* note 277, 9.

ფლიო ომიდან დაიწყო და დასრულდა 2010 წელს კამპალას შესწორებების მიღებით. შესაძლოა, აგრესიის დანაშაულის დეფინიცია არაა სრულყოფილი, მაგრამ თვითონ ის ფაქტი, რომ კონსენსუსი მიიღწა და მოხდა სასამართლოს იურისდიქციის აქტივაცია, ღირსშესანიშნავი მოვლენაა. რომის სტატუტის მე-8 *bis* მუხლით მოხდა ორ ურთიერთსაპირისპირო პოზიციას შორის კომპრომისის მიღწევა: დელეგატების ნაწილის ამბიციია იყო, რომ მომხდარიყო ყველა უკანონო ძალის გამოყენებაში მონაწილეობის კრიმინალიზაცია. მეორე ნაწილი კი ითხოვდა, რომ დეფინიცია რაც შეიძლება დაახლოვებოდა ნიურნბერგისა და ტოკიოს პრეცედენტებს და ყოფილიყო შესაბამისობაში არსებულ საერთაშორისო ჩვეულებით სამართალთან. სიმძიმის მინიმალური ზღვრის დაწესებით, აგრესიის დანაშაულის ფარგლებიდან გამოირიცხა ისეთი ძალის გამოყენების მაგალითები, რომლებიც, ერთი მხრივ, ვერ აღწევს მინიმალური სიმძიმის ზღვარს, ხოლო, მეორე მხრივ, ექცევა კანონიერების ნაცრისფერ არეალში. ამასთანავე, სიმძიმის ზღვარი არც ისეთი შემზღვეველია, რომ მასში არ მოექცეს ისეთი ძალის გამოყენების შემთხვევები, რომელთა მიზანიც სხვა არაფერია თუ არა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ანექსია და ოკუპაცია. სიმძიმის ზღვრის დასაზუსტებლად გარდაუვალია, რომ საჭირო იქნება შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა, თუმცა არსებული საერთაშორისო სამართლებრივი ინტერპრეტაციის მეთოდები საშუალებას გვაძლევს საკმარისი სიზუსტით დავადგინოთ მე-8 *bis* მუხლის ფარგლები. შემდგომმა პრაქტიკამ შესაძლოა კიდევ განავითაროს არსებული ჩვეულებითი სამართალი, რისი მხედველობაში მიღებაც სასამართლოს მოუწევს.

მეცნიერთა ნაწილმა გამოთქვა კრიტიკული მოსაზრებაც, რომ აგრესიის დანაშაულისათვის მაღალი ზღვრის დაწესებით, შესაძლოა ძალის გამოყენების ის მაგალითები, რომლებიც ვერ აღწევს დანაშაულის სიმძიმის ზღვარს, აღქმული იქნას კანონიერად, რაც დაავიწროებს ძალის გამოყენების აკრძალვის ფარგლებს.<sup>101</sup> თუმცა, დეფინიცია, რომელიც მიღწეულ იქნა პოლიტიკური კომპრომისის შედეგად, ინდივიდუალური სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან არ გამოირიცხავს სახელმწიფოთაშორისი ძალის გამოყენების მაგალითებს *per se*, არამედ მისი განმარტება უნდა მოხდეს თითოეული შემთხვევის ინდივიდუალური ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით. ის ფაქტი, რომ რომის სტატუტით არ ხდება ძალის გამოყენების აკრძალვის ყველა დარღვევის კრიმინალიზაცია, თანხვედრაშია საერთაშორისო სისხლის სამართლის ბუნებასთანაც, რომელიც ფარავს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ძალის გამოყენების სამართალს. საერთაშორისო სისხლის სამართალი კი დაცულია მხოლოდ სამართლის ამ დარგების კონკრეტული ნაწილები. თითოეული საერთაშორისო დანაშაული ასევე შეიცავს კონტექსტურ ელემენტს, მაგალითად, გენოციდის შემთხვევაში ეს არის სპეციალური განზრახვა, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემთხვევაში სისტემატური და ფართომასშტაბიანი შეტევის არსებობა. ომის დანაშაულები

<sup>101</sup> Andreas Paulus, 'Second Thoughts on the Crime of Aggression', *European Journal of International Law* 20 (2010): 1124.

ფარავს უნევის კონვენციების მხოლოდ ყველაზე მძიმე დარღვევებს და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ყველა დარღვევა არ არის კრიმინალიზებული.<sup>102</sup>

ნაშრომში განვითარებული მსჯელობით იკვეთება, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ინტერვენცია სავარაუდოდ ემსახურება ჰუმანიტარულ მიზნებს, ერთი მხრივ ლეგიტიმური მიზნების აწონვა და მეორე მხრივ, სახელმწიფოს სუვერენული ინტერესების დაცვას შორის ბალანსის მოძებნა სასამართლოს მთავარი ამოცანა იქნება, რომ არ მოხდეს ამ დოქტრინების ბოროტი გამოყენება. ის ფაქტი, რომ აგრესიის დანაშაული უკვე რომის სტატუტის ნაწილია, გამოყენებული იქნება ძალის გამოყენების აკრძალვის გასაძლიერებლად და მიუხედავად იმისა თუ სინამდვილეში რამდენად ხშირად მოხდება პირების მსჯავრდება, ის ლიდერებისთვის იქნება ერთ-ერთი ფაქტორი, რომ კარგად დაფიქრდნენ გამოიყენებენ თუ არა ძალას.<sup>103</sup> სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის მიერ ეფექტური იურისდიქციის გავრცელება აგრესიაზე არის დიდი ისტორიული მიღწევა და აქვს შეუფასებელი მნიშვნელობა, რადგან საჭიროა ყველა ზომის მიღება, რაც ემსახურება შეიარაღებული კონფლიქტებისათვის თანმდევი საშინელების პრევენციას. „სამართალი და არა ომი - უნდა იყოს ჩვენი სახელმძღვანელო. ამ სიტყვებით დღეში ბილიონი დოლარის დაზოგვა და მილიონი ადამიანის სიცოცხლის დაცვა იქნება შესაძლებელი... ჩვენ ვერასდროს შევძლებთ ომების სრულიად აღმოფხვრას, მაგრამ უნდა ვიყოთ კატალისტები სწორი მიმართულებით“.<sup>104</sup>

<sup>102</sup> Astrid Coracini and Pal Wrangé, “The specificity of the crime of aggression”, in *The Crime of Aggression: A Commentary*, eds. Claus Kreß and Stephen Barriga (Cambridge: Cambridge University Press, 2017) 322.

<sup>103</sup> Benjamin Ferencz, “Can Aggression be Deterred by Law?” *Pace International Law Review* 11 (1999): 341.

<sup>104</sup> Dopplick R., “Interview -Benjamin Berell Ferencz, U.S. Chief Prosecutor at Nuremberg Trials“ (5 June 2018), [https://www.americabar.org/groups/international\\_law/publications/international\\_law\\_news/2018/winter/benjamin-berell-ferencz/](https://www.americabar.org/groups/international_law/publications/international_law_news/2018/winter/benjamin-berell-ferencz/) [ნანახია 12.03.2020].